# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 14 ოქტომბერი, 2009 წელი.

№ 209 (6309)



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika ფასი 50 თეთრი.

## გილოცავთ მცხეთობა — სვეტიცხოვლობას



მცხეთა ერის უკვდავების საგანძურია, ხოლო მცხეთობა ქართველი ხალხის უკვდავების მქადაგებელი.

7

## „სააკაშვილი და საქართველო ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ!“ 2

## აფხაზური პასპორტიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები





3



არჩილ გეგეშიძე:

## ვაშინგტონი მოსკოვს არ გააღიზიანებს

## არც ამირანი, აღარც პრომეთე, გულო, გაუძელ ტკივილს... 4





## საშიში თუ სანატრელი ბირთვული იარაღი 5

## „თავაზიანი ევროპული სიმართლე და... სიმართლე რუსული“ 4

საქართველოს სომხები:

## კავკასიაში დაძაბულობის ახალი კერა იკვეთება? 8



№ 209. ოთხშაბათი, 14 ოქტომბერი, 2009 წელი.

ინფორმაცია

## „სააკაშვილი და საქართველო ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ!“

**საზოგადოებრივი მოძრაობა „დაიცავი საქართველო“ ევროკავშირის სპეციალური კომისიის მიერ გამოქვეყნებულ დასკვნასთან დაკავშირებით საქართველოს მოქალაქეებს მიმართავს.**

— საქართველო უდიდესი გამოცდის წინაშე დგას. ჩვენ არაერთგზის განგვიცხადებია და უკვე ჰაიდი ტალიავინის დასკვნამაც დაადასტურა, რომ ამ ომის თავიდან აცილება შეიძლებოდა. დასკვნიდან დადასტურდა, რომ პასუხისმგებლობა მნიშვნელოვანწილად ეკისრება საქართველოს ხელისუფლებას და პერსონალურად პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც თავისი ერთპიროვნული და უპასუხისმგებლო გადაწყვეტილებით ხელი შეუწყო საქართველოს ტერიტორიაზე რუსულ ინტერვენციას და ქვეყანას დამატებით დააკარგინა ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, — ნათქვამია მიმართვაში და აღნიშნულია, რომ ამ დასკვნით იხელმძღვანელებს ევროპა უახლოესი წლების განმავლობაში, რითაც საქართველოს მოსახლეობა და ქვეყნის ინტერესები დაზარალდება

— მსოფლიოს საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი არ არის საქართველო. ყველა ჩვენგანის ვალია საქართველოს სახელმწიფოებრიობის გადარჩენა, — ნათქვამია მიმართვაში.

საზოგადოებრივი მოძრაობა „დაიცავი საქართველო“ მოუწოდებს საზოგადოებას, თითოეულ მოქალაქეს, იურიდიულ პირს, ყველა პოლიტიკურ პარტიასა თუ მოძრაობას, მასმედიას, არასამთავრობო ორგანიზაციებს - „ერთად დავსახოთ კონკრეტული გზები, რათა გავმიჯნოთ საქართველო და სააკაშვილი და ერთხელ და საბოლოოდ მოხდეს სააკაშვილისა და მისი რეჟიმის გასამართლება.

## თურმე ალ-ყაიდას გმირებსაც ვეხმარებით

**პარლამენტის ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია რუსეთის მიერ საქართველოს „ალ-ყაიდას“ ემისრების დახმარებაში დადანაშაულებას „აბსურდულს“ უწოდებს.**

— ეს სრული აბსურდია. არანაირი ალ-ყაიდას დახმარება საქართველს მხრიდან არ ხორციელდება და არც შეიძლება ეს მოხდეს. ჩვენ საერთაშორისოდ აღიარებულ ყველა ნორმას ვიცავთ, — განუცხადა დავითაიამ ჟურნალისტებს.

მისივე შეფასებით, აღნიშნული ანტიქართული პროპაგანდით რუსეთი საქართველოს მიმართ მორიგ პროვოკაციას აწყობს.

შეგახსენებთ, რომ რუსულ მედიაში ქვეყნის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურზე დაყრდნობით, მორიგი ანტიქართული პროპაგანდა დაიწყო. სააგენტო „რია ნოვოსტი“ რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის უფროსზე ალექსანდრე ბორტნიკოვზე დაყრდნობით იტყობინება, რომ საქართველოს სპეცსამსახურები „ალ-ყაიდას“ ემისრებს ჩეჩნეთსა და დაღესტანში ტერორისტებს იარაღის გადატანაში ეხმარებიან.

„რია ნოვოსტის“ ცნობით, ეს განცხადება ბორტნიკოვმა ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის სხდომაზე გააკეთა. „ბოევიკების აღმოჩენილი აუდიოანგარიშები ადასტურებს, რომ მათ მიერ ალ-ყაიდას ემისრებთან ერთად დამყარებულია კონტაქტები საქართველოს სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან, რომელთა მონაწილეობით ხდება ორგანიზებული ტერორისტების გადასროლა ჩეჩნეთის რესპუბლიკის ტეროტორიაზე, — განაცხადა ბორტნიკოვმა. მისივე თქმით, დაღესტანში დივერსიების მოსაწყობად მუდმივად არის იარაღის, ასაფეთქებელი მოწყობილობების, ფინანსების მიწოდების მცდელობა. ბორტნიკოვი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს შესაძლო დივერსიებზე ნავთობ და გაზსადენებზე. „ფე-ეს-ბეს, მონაცემებით, ივლისის დასაწყისიდან ჩრდილოეთ კავკასიაში აღკვეთილია 19 ტერორისტული აქტი. წლის დასაწყისიდან — 45. ამავე პერიოდში აღკვეთილია 178 ბანდიტის საქმიანობა“, — განაცხადა ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის შეფმა. „მათ შორისაა ალჟირის მკვიდრი დოქტორი მუჰამედი, რომელიც ალ-ყაიდას მიერ ჩვენს ქვეყანაში გამოგზავნილია, რათა დაღესტანში ტერორისტული საქმიანობის კოორდინაცია მოახდინოს. დაჯგუფებების ხელმძღვანელები არიან მუსტაფაევი, მანსუროვი, ბარტიხოევი, კამალუტდინოევი, ე.წ. ყაბარდო-ბალყარეთის ჯამაათის ემირები დოტკულოევი და ჯაპუევი, ასევე დაღესტნის იატაკქვეშეთის ბანდის შარიათის სასამართლოს ხელმძღვანელი საადულაევი“, — განაცხადა ბორტნიკოვმა.

## რუსეთ-ამერიკის ურთიერთობა ჩვენს საზღვრებზეა დამოკიდებული

**აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ობამას მრჩევლის მაიკლ მაკფოლის განცხადებით, საქართველოს საზღვრები რუსეთ-ამერიკის ურთიერთობებში ამჟამად ყველაზე მწვავე საკითხია.**

მაკფოლმა აღნიშნა, რომ აუცილებელია საერთაშორისო დამკვირვებლების განლაგება აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ნაწილად განიხილავს.

„ამ საკითხში ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის უთანხმოება ფუნდამენტურ ხასიათს ატარებს და უახლოეს მომავალში მისი გადაჭრის არანაირი საშუალება არ ჩანს. თუმცა, ფაქტია, რომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს, კავკასიაში ახალი დაძაბულობის ესკალაცია“, — დასძინა მაიკლ მაკფოლმა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

მოთხოვნა

## შალვა ნათელაშვილი ბუშის დროს მწარედ იხსენებს...

**ლეიბორისტულ პარტიას ხელისუფლების მიმართ მოთხოვნები და პრეტენზიები არ ელევა. გუშინდელ პრესკონფერენციაზე პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებას მიმართა. განაცხადა, რომ მათი მთავარი მიზანია ამ ეტაპზე თეთრ სახლში, კონგრესსა და სახელმწიფო დეპარტამენტში დაიდოს პარტიის მიერ გაგზავნილი მტკიცებულებების სამი ტომი, სადაც დადასტურებულია ბუშის თანამებრძოლთა, სოროსის, მაილსის, ბრაიზას და სხვათა დანაშაული 2003 წლის ნოემბრის ანტიკონსტიტუციურ გადატრიალებაში, რასაც მოჰყვა ავანტიურისტ სააკაშვილის მოსვლა ხელისუფლებაში, საქართველოს დაშლა-დანაწევრება, დემოკრატიის მოსპობა, დიქტატურა და სისხლის ტბები ჩვენს ქვეყანაში, — დასძინა ნათელაშვილმა.**



ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ამტკიცებს, რომ პრეზიდენტ ობამასა და მისი ადმინისტრაციის კურსი ბუშის დანატოვარი გეოპოლიტიკური ნაღმების გასანეიტრალებლად მთელი კაცობრიობის სიმპათიას იწვევს. ნათელაშვილმა ჟურნალისტებს შეატყობინა, რომ თურმე ამ მიზნით „გუანტანამოს“ ციხეში სპეციალური პროკურორიც კი დაუნიშნავთ, მაგრამ ის ვნება, რაც ვარდების იმპორტირებულმა რევოლუციამ ჩვენს სამშობლოს მიაყენა, დედამიწაზე ყველა ციხეში არსებულ ბოროტებას გადაფარავდაო...

„ამერიკის დღევანდელი ხელისუფლებისგან ვითხოვთ სპეციალური პროკურორის დანიშვნას იმ ვაშინგტონელ ჩინოვნიკთა თუ მოღვაწეთა პასუხისმგებლობისთვის, ვინც დაგეგმა, დააფინანსა და განახორციელა 2003 წლის ნოემბერში „ვარდების გადატრიალება“, ხოლო შემდეგ მფარველობას უწევდა სისხლიან რეჟიმს. ყველაფერთან ერთად ამან ძირს დასცა ამერიკის იმიჯი, ხოლო ამერიკელ გადასახადის გადამხდელებს ტროცკისტული ფერადი რევოლუციები მთელ მსოფლიოში რამდენიმე მილიარდი დოლარი დაუჯდა. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რის გამოც ბუშის ადმინისტრაცია მაშინ გადატრიალებაზე წავიდა, იყო ჩემი და მთლიანად ლეიბორისტული პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის არ დაშვება, სააკაშვილმა 3 ოქტომბერს ეს როგორც იქნა აღიარა“, — განაცხადა ნათელაშვილმა.

**ხატია მუსერიძე**

ფიქრები ხმამაღლა

# ჩარეცხილი ტელევიზია

**მართლაც საოცარი ქვეყანაა საქართველო.**

**საოცარია თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ამ ქვეყანაში, ყველაფერი „ჩარეცხილია“.**

**„ჩარეცხილია“ ეკონომიკა, „ჩარეცხილია“ ჯანდაცვა, „ჩარეცხილია“ განათლება, ადამიანის უფლებები, ფეხბურთი და, თქვენ წარმოიდგინეთ, ტელევიზია.**

კარგად რომ დავაკვირდი, შემთხვევით აღმოვაჩინე, რომ ზემოჩამოთვლილი „დასაცავი სფეროებიდან“, ყველაზე სასწრაფოდ დასაცავი (ყოველ შემთხვევაში პირველ ეტაპზე მაინცძ, ტელევიზია ყოფილა (რაღა დაგიმალოთ და ყველა „გენიალური აღმოჩენა“ სრულიად შემთხვევით ხდება ხოლმეძ.

ახლა არ დავიწყებ იმაზე საუბარს, რომ „რუსთავი-2“ „დეზინფორმატორია“, არაფერს ვიტყვი იმაზე, თუ ვისია ტელეკომპანია „იმედი“. არ მოვყვები იმაზე წუწუნს, რომ ეს კოლუმბიური, თუ ბრაზილიური სერიალები „ტვინის გამორეცხვის“ გაცილებით უფრო უკეთესი საშუალებაა, ვიდრე „ფეირი“, ან „მწვანე არიელი“. არც იმაზე ვილაპარაკებ, რომ ჩვენი ტელესივრცე (არა მხოლოდ ჩვენი ტელევიზორების ეკრანები, არამედ ის სივრცე, სადაც ტელეკომპანიების გადამცემი ანტენებიდან ელექტრომაგნიტური ტალღები ვრცელდებაძ დანაგვიანებულია ისეთი უაზრო გადაცემებით, როგორებიცაა „პროფილი“, „ვა ბანკი“, „პოსტ სკრიპტუმი“ და „ამერიკული იარაღის ძლევამოსილებისადმი“ მიძღვნილი „სერიალები“ (საოცარია, მაგრამ, თუ ტელეკომპანია „საქართველოს“ დავუჯერებთ, მეორე მსოფლიო ომი ამერიკელებმა მოიგეს, ხოლო ინგლისის „ლეგენდარული“ მეფე არტური, იულიუს კეისრის პირდაპირი შთამომავალი ყოფილა. ალბათ ამ ტელეკომპანიაზეა ნათქვამი: — თურაშაულის პატრონი, ტყეში ეძებდა პანტასო. შეიძლება ვინმემ ანდაზა, „უნახავმა რა ნახაოც“ მიუსადაგოს, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ეს მხოლოდ გემოვნების საკითხიაძ.

ნამდვილად არ ვილაპარაკებ ამ თემებზე, რადგანაც, ჯერ ერთი, ეს ყველაფერი, ჩემო ძვირფასო მკითხველო, შენც კარგად იცი და მეორეც, არ მინდა „ვიღაცას“ ვათქმევინო მრავალგზის გაცვეთილი ფრაზა: „თუ არ მოგწონს, ადექი და სხვაგან გადართე, ან საერთოდ გამორთეო“ (სიმართლე, რომ გითხრათ, ნამდვილად ასეც ვიქცევი და „ბილ გეიტსისა და „განვადების“ წყალობით“, ინტერნეტში ვუყურებ ნორმალურ ფილმებსა თუ გადაცემებსძ.

ნამდვილად არ ვისაუბრებ იმ ე.წ. „დამოუკიდებლად ყვითელ“ ტელეკომპანიებზე და მხოლოდ იმ „დაწესებულებაზე“ გავამახვილებ ყურადღებას, რომელიც ყველა ჩვენგანის შემოსავლებიდან, საგადასახადო კანონის ძალით დაქვითული 25 პროცენტიდან ფინანსდება და რომელსაც რატომღაც „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ჰქვია.

აუ, ძალიან გთხოვ მაპატიო, ძვირფასო მკითხველო, ამ „ასოციაციური“ გადახვევისთვის, მაგრამ, როდესაც „დაქვითული 25 პროცენტი“ დავწერე, ინსტიქტურად გვერდზე გავიხედე და წიგნების თაროს მინაში, ჩემი პროფილი დავინახე. სიტყვა „პროფილზე“ კი მაია ასათიანის „პროფილი“ გამახსენდა და ერთი ძველი, საკმაოდ „წვერიანი“ ანეკდოტიც „ამოტივტივდა“ შორეული წარსულიდან:



— ერთმა აბიტურიენტმა, მისაღებ გამოცდაზე ვერც ერთ კითხვას ვერ უპასუხა. გამომცდელმა მისი დაცინვა გადაწყვიტა და ჰკითხა, ამა და ამ „ქალბატონს“, თუ იცნობო (ალბათ მიხვდით, თუ რა „პროფილის“ ქალბატონზე ეკითხებოდა გამომცდელიძ. იმ აბიტურიენტმა უარყოფითი პასუხი გასცა. გამომცდელმა იმ ქალბატონის მისამართი უთხრა და მეორე ქალბატონის შესახებ ჰკითხა. აბიტურიენტმა, ცხადია, ამ „კითხვასაც“ ვერ უპასუხა. გამომცდელმა მისი მისამართიც უთხრა და მესამე „ანალოგიური კითხვა“ დაუსვა. აბიტურიენტი, კვლავ „მამაცი პარტიზანივით“ სდუმდა. გამომცდელი გაბრაზდა, იმ ქალბატონის მისამართიც უთხრა და გარეთ გამოაგდო. ეზოში აბიტურიენტს მეგობრები შემოეხვივნენ და ჰკითხეს, რა ქენი, გამოცდა როგორ ჩააბარეო. იმ ყმაწვილმა ეშმაკურად ჩაიცინა, რა გამოცდა, რის გამოცდა, მაგარი „ნაშების“ მისამართები გავიგეო.

ისე, რა მაგარი რამეა ასოციაცია, არა?

მაია ასათიანი არ ვიცი, მაგრამ ნინო შუბლაძე კი შეიძლება მოხსნან „დაკავებული თანამდებობიდან“ ბოლო გადაცემის ჩაგდებისთვის.

მან, დიდი მცდელობის მიუხედავად, მაინც ვერ შეძლო ნინო ბურჯანაძის „კედელთან მიყენება“. არადა გადაცემა „პოზიციის“ პროდიუსერმა, როდესაც მიხვდა, რომ მთლად კარგად ვერ იყო საქმე, ცოტა გაიბრძოლა და ვითომდა „პოსტ სკრიპტუმის“ ჟურნალისტი „აჩალიჩა“, ბურჯანაძის „პროვოკაციაზე წამოსაკიდებლად“.

ეჰ, ჩემო „ყვითელო კოლეგებო“, ამჯერად როგორც რიგითი მაყურებელი, ისე გეუბნებით, დაანებეთ თავი იმის კეთებას, რაც არ შეგიძლიათ. ვერც დავალებას ასრულებთ და ტყუილად „იბანძებთ“ თავს მაყურებლის წინაშე.

კარგით. დავანებოთ თავი „რუსთავი-2-ს“. მაგათ თავიანთი გაჭირვებაც ეყოფათ და ისევ ამ ჩვენგან წართმეული ფულით დაფინანსებულ ე.წ. „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ დავუბრუნდეთ.

ამ დაწესებულებასთან დაკავშირებით, ამ ჩვენს ე.წ. პოლიტიკოსებს მინდა ერთი საკმაოდ საჭირბოროტო კითხვა დავუსვა (ისე, მეტი არაა ჩემი მტერი, ეგენი „ჩვენი პოლიტიკოსები“ არ იყვნენ, მაგრამ სხვა არ „მოიპოვება“ ამ ქვეყანაში და რა ვქნა?ძ.

— ძმურად, ჯერ ერთი გამაგებინეთ, თუ რას ნიშნავს „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტების „პარტიული კვოტები“ და მერე ამიხსენით, თუ რატომ უნდა ვუხადოთ ჩვენ, რიგითმა მოქალაქეებმა, ჩვენი შემოსავლებიდან ვიღაც „პარტიულ მუშაკებს“ ხელფასი იმის გამო, რომ ის ვიღაცეები, რომელიღაც „ორკაციანი“ პარტიების „ლიდერებმა“ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ბორდში „გააკვეხეს“?

თუ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“ ნამდვილად საზოგადოებას ეკუთვნის, მაშინ პოლიტიკური პარტიები რა შუაშია?

სამეურვეო საბჭოს „არასამთავრობო ორგანიზაციების“ წარმომადგენლებით დაკომპლექტებაც არ არის სწორი (ეს რბილად რომ ვთქვაძ, რადგანაც, ჯერ ერთი ეგ „არასამთავრობოები“ ნახევრად მაინც „სამთავრობოები“, ან „პარტიულები“ არიან და მეორეც — ან იმ არასამთავრობოების წარმომადგენლებს რატომ უნდა ვუხადოთ ჯამაგირი? წავიდნენ და პროექტები წერონ, მერე გრანტები მოიპოვონ და რაღაც კეთილი საქმეები აკეთონ.

ტელევიზიის სამეურვეო საბჭო კი მხოლოდ საზოგადოების წარმომადგენლებისგან უნდა დაკომპლექტდეს.

საზოგადოების ნამდვილი წარმომადგენლებისგან და არა კონფორმისტებისა და მლიქვნელებისგან.

არადა ეს უკანასკნელნიც, პარტიულების ან „ენჯეოშნიკების“ არ იყოს, რა ბლომად არიან?

ისე ზოგზოგიერთები კი ამბობენ, საქართველოში 2003 წლამდე ჭკუასაკითხავი ადამიანები არ ცხოვრობდნენო, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, თურმე ასეთი ხალხის დეფიციტი 2003 წლის შემდეგ უფრო გაჩნდა.

ეჰ, მართლაც რომ საოცარი ქვეყანაა საქართველო.

**გია გაბრიჭიძე**

ვითარება

# აფხაზური პასპორტიზაციის დადებითი და უარყოფითი მხარეები



**გალში მცხოვრები ქართველებისთვის აფხაზეთის ტერიტორიაზე გადაადგილება დღითი დღე რთულდება. მიზეზი „აფხაზური პასპორტის" არქონაა, რომლის გაცემის პროცესი სეპარატისტულმა ხელისუფლებამ ჯერჯერობით ვერ განახორციელა. გალის რაიონის ტერიტორიაზე აფხაზური პასპორტიზაციის თემა განსაკუთრებით აქტუალური რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის შემდეგ გახდა. სეპარატისტები ყველა გზით ცდილობენ, მოსახლეობას პასპორტების აღება აიძულონ, მასწავლებლებს ხელფასების ჩამორთმევით ემუქრებიან, პენსიონერებს — პენსიების, ზოგადად მოსახლეობა კი პასპორტების არქონის შემთხვევაში საზღვარზე გადასვლის დროს უამრავ პრობლემას აწყდება. დე ფაქტო ხელისუფლების მიერ პასპორტიზაციის პროცესის დაწყების დღიდან მოსახლეობა ინტერესდებოდა, რა ბედი ეწევა მას, თუ აფხაზურ პასპორტებს აიღებს, რადგან სეპარატისტები პასპორტის ასაღებად საჭირო ანკეტის ერთ-ერთ პუნქტში საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმას მოითხოვენ. ამასთან დაკავშირებით „პირველი" სახელმწიფო მინისტრს რეინტეგრაციის საკითხებში თემურ იაკობაშვილს დაუკავშირდა.**

„იმ ქაღალდს, რომელსაც აფხაზები პასპორტს ეძახიან, არანაირი იურიდიული ძალა არ აქვს და საქართველოს ხელისუფლება მას საბუთად არ აღიარებს". „ეს ე.წ. პასპორტი არაფერს წარმოადგენს და თუ ეს იქაურ მოსახლეობას ვინმესთან საუბარს და მოქმედებას გაუადვილებს, ჩვენ არავის არაფერს ვუკრძალავთ. მისი აღების შემთხვევაში არც ქართული მხარის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე შეექმნებათ რამე პრობლემა, რადგან ქართული მხარე მას არ აღიარებს", — განაცხადა იაკობაშვილმა.

მიუხედავად ხელისუფლების ასეთი დამოკიდებულებისა, პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** გალის მოსახლეობის მიერ აფხაზური პასპორტების აღების ფაქტს „აფხაზების წისქვილზე წყლის მიშვებად" აფასებს და აცხადებს, რომ „ამით მოსახლეობა ფაქტობრივად აფხაზეთის დამოუკიდებლობას აღიარებს". „თუ ქართული მოსახლეობა აფხაზურ პასპორტებს აიღებს, ამით აფხაზების პოზიცია გამყარდება იმ მხრივ, რომ მათი რაოდენობრივი მაჩვენებელი გაიზრდება და სათქმელი ექნებათ, რომ არსებობენ", — განაცხადა საყვარელიძემ, რომელიც ამავდროულად მეორე — დადებით მხარეზეც საუბრობს. „პასპორტიზაციის ფაქტი დადებითადაც შეიძლება შეფასდეს, იქიდან გამომდინარე, რომ აფხაზური პასპორტების აღების შემთხვევაში იქაური მოსახლეობა სრულუფლებიანი გახდება და აფხაზურ პოლიტიკაში ჩარევისა და საკუთარი ინტერესების გატარების შესაძლებლობა მიეცემა", — განმარტავს პოლიტოლოგი. ყოველივე აქედან გამომდინარე, აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედების თავისუფლების მოსაპოვებლად მოსახლეობის დიდმა ნაწილმა აღნიშნული საბუთის აღება გადაწყვიტა და შესაბამისი საბუთების მზადებაც დაიწყო, თუმცა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებაში შიდა დაპირისპირების გამო პროცესი შენელდა. ექსპერტი **პაატა ზაქარეიშვილი** აღნიშნულ ფაქტს 12 დეკემბერს აფხაზეთში დაგეგმილ დე ფაქტო საპრეზიდენტო არჩევნებს უკავშირებს. „დე ფაქტო პარლამენტმა სამი მოსმენით მიიღო კანონი „აფხაზეთის მოქალაქეობის შესახებ", რომლის თანახმად, აფხაზეთში მცხოვრები ყველა პიროვნება ავტომატურად აფხაზეთის მოქალაქე ხდება, თუმცა ოპოზიციაში ატეხილი ხმაურის გამო დე ფაქტო პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა აღნიშნული კანონის მიღების შესახებ დოკუმენტს ხელი არ მოაწერა. ოპოზიცია პასპორტიზაციის პროცესის ზუსტად იმ დროს დაწყებას, როცა დე ფაქტო პრეზიდენტის არჩევნები ახლოვდება, იმ ფაქტს უკავშირებდა, რომ ბაღაფშს პირველი ვადით არჩევის მსგავსად, მეორე ვადით ასარჩევადაც გალის მოსახლეობის იმედი ჰქონდა. ატეხილი ხმაურიდან გამომდინარე პასპორტიზაციის პროცესი დროებით შეჩერდა, — აცხადებს ზაქარეიშვილი. ზემოთ აღნიშნულზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ სეპარატისტების ე.წ. საპარლამენტო კომისიის პასპორტიზაციასთან დაკავშირებით მიღებული ახალი დადგენილების თანახმად, სოხუმის ხელისუფლების არჩევნებში მონაწილეობის უფლება მხოლოდ იმ პირებს ექლევათ, ვისაც რუსეთში დამზადებული „აფხაზური" პასპორტები გააჩნიათ. შესამაბამისად, გალისა და ოჩამჩირის მოსახლეობის უმრავლესობას ე.წ. არჩევნებში მონაწილეობის მიღების საშუალება არ ექნება.

მიუხედავად იმისა, რომ პროცედურა შეჩერდა, ეს ხმამაღლა გალის რაიონში არავის უთქვამს, ისევ ძალაში რჩება მოთხოვნა აფხაზური პასპორტების აღების თაობაზე, ძველებურად გრძელდება ულტიმატუმის ენით საუბარი და საზღვარზე პასპორტის არქონის გამო დაკავებათა სერიაც. ამაზე გუშინწინ გალის რაიონის სოფელ საბერიოსა და წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანის საზღვარზე მიკროავტობუსის მგზავრების დაკავების ფაქტიც მეტყველებს. როგორც „პირველს„ აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის სამეგრელო-ზემო სვანეთის წარმომადგენლობის უფროსის მოადგილემ თორნიკე კილანავამ განუცხადა, მგზავრების დაკავება სწორედ აფხაზური პასპორტების არქონის გამო მოხდა. „დაკავება გალის რაიონის სოფელ საბერიოსა და წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანის საზღვარზე მოხდა. ოკუპანტებმა პასპორტების არქონის გამო მიკროავტობუსის 15-მდე მგზავრი გალის პოლიციაში გადაიყვანეს. სასტიკადაა ნაცემი მძღოლი კობა ჯახაია. ამ დროისთვის მათი ადგილსამყოფელი და მდგომარეობა უცნობია", — აღნიშნავს კილანავა.

როგორც ვხედავთ, აფხაზეთის ტერიტორიაზე სიტუაციის დარეგულირება შეუძლებელი ხდება, რადგან მუდმივად ურთიერთგამომრიცხავი ფაქტები ეჯახება ერთმანეთს, მოსახლეობა კი, რომელიც ყოველგვარი ზეწოლის მიუხედავად, ქართველობას ჯერ კიდევ ინარჩუნებს, მუდმივად გაურკვევლობას აწყდება და კითხვები, რომელიც განუსაზღვრელი რაოდენობით ჩნდება, ისევ და ისევ პასუხგაუცემელია.

**ირინა არდაშელია**

კომპეტენტური აზრი



***ტალიავინის მისიის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ საქართველოს მიმართ დასავლეთში ჩამოყალიბებულ რეალობაზე, აგრეთვე, იმაზე, თუ რამდენად შეუწყობს ხელს დასკვნა დასავლეთისა და აშშ-ს საქართველოს უსაფრთხოების გაძლიერებაში მეტ ჩართულობას; რამდენად რეალურია საქართველოში აშშ-ს სამხედრო ბაზების განთავსება, „ინტერპრესნიუსი" პოლიტოლოგ არჩილ გეგეშიძეს ესაუბრა.***

# ვაშინგტონი მოსკოვს არ გაალიზიანებს

**— ბატონო არჩილ, პოლიტიკოსთა და ექსპერტთა საკმაოდ დიდი ნაწილის აზრით, ტალიავინის მისიის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ ევროპასა და აშშ-ში საქართველოსთან დამოკიდებულებაში ახალი რეალობა ჩამოყალიბდა. თქვენი აზრით, რა ნიშნით ხასიათდება ახალი პოლიტიკური რეალობა, რომლის შესახებაც საუბრობენ პოლიტიკოსები და ექსპერტები?**

— არ ვიცი, რამდენად ჩამოყალიბდა ახალი რეალობა, მაგრამ ფაქტია, რომ დასკვნამ შესაბამისი გზავნილები გააკეთა მხარეების მიმართ. ახლა უნდა დაველოდოთ, რა შედეგს გამოიღებს იგი. ანუ, რა ცვლილებები მოხდება ამ დასკვნის საფუძველზე მხარეების ქცევაში. ეს ეხება არა მარტო ქართულ და რუსულ, არამედ აფხაზურ და სამხრეთ ოსურ მხარეებსაც. ამ დასკვნაში საკმაოდ კრიტიკული შეფასებებია დასავლეთის მიმართ. მიჭირს იმის თქმა, ამ დასკვნის საფუძველზე რა ცვლილებები მოხდება მხარეების ქცევაში. რუსულ და ქართულ მხარეებს მაინცდამაინც არ უნდა აწყობდეთ, რომ ამ დოკუმენტის საფუძველზე ადგილი ჰქონდეს მოვლენების შემდგომ განვითარებას, ანუ დაინიშნოს გამოძიება ჰუმანიტარული სამართლის ან სამხედრო დანაშაულის ჩადენის ფაქტებთან დაკავშირებით.

დრო გვიჩვენებს, აისახება თუ არა ეს საქართველოს მიმართ ევროკავშირის ან ევროპის ცალკეული სახელმწიფოების, ან აშშ-ს მხრიდან დამოკიდებულებაზე. რამდენად შეიცვლება დამოკიდებულება რუსეთის მიმართ ევროკავშირის, გერმანიის, საფრანგეთის ან სხვა ქვეყნების მხრიდან. დრო გვიჩვენებს, რამდენად აისახება ეს აშშ-რუსეთის გადატვირთვის პოლიტიკაზე.

როგორც ხედავთ, მისიის დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ დიდი კითხვის ნიშნები და ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა გაჩნდა. ალბათობა იმისა, რომ საქართველოსადმი ევროკავშირის დამოკიდებულება შეიცვლება ან არ შეიცვლება, დაახლოებით თანაბარია. ამიტომ, მაინც არ ვივარაუდებ, რომ ტალიავინის მისიის დასკვნას იმ აჟიოტაჟის შესაბამისი ცვლილებები მოჰყვეს, როგორსაც ამას ქართული პრესა ვარაუდობს. შესაძლოა, ჩვენ ტალიავინის მისიის დასკვნას ზედმეტად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, ვინაიდან სხვა დაინტერესებული მხარეები საერთოდაც მოწადინებული არიან, ამ დოკუმენტში არსებულ დასკვნებს შემდგომი მსვლელობა არ მიეცეს.

**— ტალიავინის დასკვნაში სერიოზული კრიტიკაა გამოთქმული, როგორც ევროკავშირის, ისე აშშ-ს მისამართით იმ თვალსაზრისით, რომ მათ ომამდე საქართველოში კონფლიქტების მიმართ პასიურობა გამოიჩინეს. მისიის დასკვნა იძულებულს ხდის თუ არა ევროკავშირს, უფრო აქტიურად იფიქრონ საქართველოს უსაფრთხოებაზე?**

— ჩემი აზრით, არა იმდენად ამ დოკუმენტში გამოთქმული კრიტიკული მოსაზრებები ევროპისა და აშშ-ს მიმართ, არამედ თავად ის ფაქტი, რომ შარშან აგვისტოში ომს ჰქონდა ადგილი, იქნება მთავარი გამომაფხიზლებელი ევროპისა და აშშ-სთვის. მათ მოინდომეს ომის შეჩერებისთვის ნაბიჯების გადადგმა, მაგრამ მეტის გაკეთება დასავლეთსა და აშშ-ს არ სურთ ან არ შეუძლიათ.

ამ დოკუმენტის საფუძველზე ჩვენ არ უნდა ველოდეთ საქართველოს უსაფრთხოების საკითხებში დასავლეთისა და აშშ-ს კიდევ უფრო მეტ ჩართულობას. ტალიავინის მისიის დასკვნა არ უნდა განვიხილოთ, როგორც სახელმძღვანელო დოკუმენტი პოლიტიკის განსაზღვრისა ვაშინგტონსა და ბრიუსელში, სხვა ქვეყნების დედაქალაქებში. შესაძლოა, დასკვნა გამოყენებული იყოს ამა თუ იმ კონკრეტულ ვითარებაში, ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხში და რომელიმე მხარეს გაუხსენონ მის მიერ შეუსრულებელი ვალდებულებები. ისე, არა მგონია, რომ ტალიავინის მისიის დასკვნა გლობალურ პოლიტიკაზე, დასავლეთისა და რუსეთის ურთიერთობაზე მნიშვნელოვან როლს ითამაშებს.

**— მას შემდეგ, რაც გახმოვანდა, რომ აშშ-ს სამთავრობო დელეგაცია თბილისს ეწვევა, ქართულ პრესაში გამოითქვა მოსაზრება, რომ საქართველოში შესაძლოა, ამერიკული სამხედრო ბაზა გაჩნდეს. თქვენი აზრით, რამდენად რეალურია ამგვარი პერსპექტივა?**

— ის, რომ აშშ-ს მხრიდან ჩვენი უსაფრთხოების ხარისხის გასაძლიერებლად ნაბიჯები გადაიდგმება, ამაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ თვალსაწიერ მომავალში არ ვვარაუდობ საქართველოს უსაფრთხოების გაძლიერება მაინცდამაინც საქართველოში ამერიკული ბაზის განთავსების ხარჯზე მოხდეს. ყოველ შემთხვევაში, ობამას ადმინისტრაცია, სულ მცირე, თავის პირველ ვადაში ნამდვილად არ გააკეთებს იმას, რომ კავკასიაში განათავსოს ამერიკული სამხედრო ბაზა, რადგანაც მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რუსეთთან თანამშრომლობა ისეთ საკითხებში, როგორებიც არის მასობრივი იარაღის გაუვრცელებლობა, ირანისა და ავღანეთის თემა, ტერორიზმი და სხვა. აშშ-სთვის პირველხარისხოვანია, ამ საკითხებში ითანამშრომლოს რუსეთთან და პრობლემებს რუსეთთან ერთად მოუაროს. ამ ფონზე ვაშინგტონი მოსკოვისთვის



დამატებით გამალიზიანებელ ნაბიჯებს არ გადადგამს. ეს ეხება პირველ ყოვლისა პოსტსაბჭოთა სივრცეს და საქართველოს, რომლის მიმართაც კრემლი განსაკუთრებით მგრძნობიარეა.

რაც შეეხება აშშ-ს თავდაცვის სამინისტროს დელეგაციას, რომელიც თბილისში ჩამოდის; ეს არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც ბაზებზე იქნება საუბარი. საერთოდ გამოვრიცხავ, რომ ამერიკული ბაზების განთავსებაზე იყოს მსჯელობა. ჩემი აზრით, იმ თემებზე იქნება საუბარი, რომელიც უკვე დაწყებულია სტრატეგიული პარტნიორობის ფარგლებში. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, აშშ საქართველოს, სამხედრო სფეროში თანამშრომლობის თვალსაზრისით, თავდაცვის დოქტრინის გადააზრების კონტექსტში, ინსტიტუციური მშენებლობის საქმეში გადაწყვეტილების მიღების გარკვეულ გაუმჯობესებას და ტრენინგების ორგანიზებას სთავაზობს და არა — ბაზების განთავსებას.

**— თქვენი აზრით, რამდენად შეუწყობდა ხელს ცხინვალზე ცეცხლის გახსნის გამო ქართული მართლმსაჯულების მიერ სააკაშვილის დასჯა აფხაზებთან და ოსებთან დიალოგის დაწყებას? ქართულ მედიაში ამის სასარგებლოდ აზრს გამოთქვამენ ნინო ბურჯანაძე, „რესპუბლიკელი" პაატა ზაქარეიშვილი და სხვები...**

— ამგვარი მოსაზრება საქმისგან ძალიან შორს მგონია. ძნელი წარმოსადგენია, რომ ქართულმა მართლმსაჯულებამ სააკაშვილი გაასამართლოს. ამისთვის საჭიროა, პრეზიდენტს საპრეზიდენტო იმუნიტეტი პარლამენტმა მოუხსნას, დღევანდელი პარლამენტის საპარლამენტო უმრავლესობა კი სააკაშვილის არის და როგორ უნდა მოხდეს ეს, გაუგებარია.

ჯერ ვერ ვხედავ ტალიავინის მისიის დასკვნების გავლენას საქართველოსთან დასავლეთის ქვეყნების დამოკიდებულებაში. ამ მხრივ ეს არც აქტიურობას და არც პასიურობას ეხება, პირიქით, მაღალი რანგის დელეგაცია ჩამოდის აშშ-დან, თუმცა ორმხრივი კონტაქტები საქართველოს ხელისუფლებასთან აშკარად შეზღუდულია. ეს კი, ტალიავინის მისიის გამოქვეყნებამდეც შეინიშნებოდა. დოკუმენტის ამ მხრივ გავლენას ჯერ ვერ ხედავ. შესაძლოა, დროთა განმავლობაში გამოჩნდეს, მაგრამ ვეჭვობ, ამის გამო დასავლეთის ურთიერთობები საქართველოსთან გაცივდეს, რადგანაც ტალიავინის მისიის დასკვნა და ბრალდებები პირველ რიგში ძალიან მძიმეა რუსეთისთვის. ასეთ ფონზე, საქართველოს ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომა დროთა განმავლობაში სულ უფრო შემსუბუქდება და აქტუალობას დაკარგავს.

**კობა ბენდელიანი**

ეპოქის ნიშანი

# არც ამირანი, აღარც პრომეთე, გულო, გაუძელ ტკივილს...

**ყველა ეპოქას თავისი ნიშანთვისება აქვს, რომლითაც ის მეტყველად და ხელშესახებად გამოირჩევა თოფის ტყვიებივით ჩარიგებული სხვა ეპოქებისგან.**

**ფრანგი სანკიულოტები გილიოტინაზე თავების მასობრივი ჭრით დაილექნენ ჩვენს მახსოვრობაში.**

**რუსი ბოლშევიკები — თავიანთ ლიდერთა ძეგლების ყველა უადგილო ადგილზე წამოყუდებით.**

**ქართული „ვარდების რევოლუცია“ — ამ ძეგლების ხარაკირით. და არა მხოლოდ მათი...**

ელადის შვიდი ქალაქი ეცილებოდა ერთმანეთს დიდი ჰომეროსის სამშობლოობაზე.

აი, საქართველოში კი არავინ დავობს (სულ ფეხებზე ჰკიდიათძ, თუ რომელი კუთხიდან იყო წარმოშობით ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პირველწამომწყები ამირანი (ისე, უფრო სვანეთი თუ ფშავია საგულებელი, შემორჩენილი მწირი ბიოგრაფიული ცნობებითძ.

სვანები ყველაფერს ლეგენდებით მოსავენ: ქალღმერთ დალის მონადირე დარჯალანი შეუწვა გამოქვაბულში ჯიხვის ტყავის ქვეშ და, ბუნებრივია, დააორსულა. მისმა ანჩხლმა და კოჭლმა ცოლმა მძინარე საყვარლებს შეუსწრო და დალის ოქროს მაკრატლით ოქროს ნაწნავი შეაჭრა. საციმბიროდ გამზადებულ კატორღელივით ცალ მხარეს აკრეჭილმა ქალღმერთმა ნირწამხდარ დარჯალანს უანდერძა, მუცელი გამიჭერი, ბავშვი ამოიყვანე და წადიო. მონადირემ საკეისრო კვეთა წარმატებით ჩაატარა. ასე მოევლინა ქვეყანას მომავალი გმირიო.

ფშაველები კი უფრო პროზაულად უდგებიან ამირანის ავტობიოგრაფიას: არავითარი საიდუმლოება და ქალღმერთები. ამირანი ვინმე სულკალმახისა და მისი სჯულიერი თანამეცხედრის დარეჯანის მესამე ვაჟი იყო ბადრისა და უსუპის შემდეგ. დედას ნაბოლარა გამორჩევით უყვარდა, ამიტომ ამირანს დარეჯანის ძესაც უწოდებდნენო.

ეს არის სულ. დანამდვილებით და უტყუარად მხოლოდ ის ვიცით, რომ ამირანს ოქროს კბილი და საცრისოდენა თვალები ჰქონდა. რაც შეეხება მგლის მუხლს, თორმეტი ულელი ხარ-კამეჩის ღონეს და ზვავის სისწრაფეს — ეს თავისთავად.

მისმა ცხოვრებამ კავკასიონზე მიჯაჭვამდე ხალხის ქომაგობაში, დევთა, ქაჯთა, ავსულთა, გველეშაპთა და ათასი ძალლის და მამაძაღლის ჟლეტაში განვლო და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ბაირახტარი და სიმბოლო გახდა ბოლო 3500 წლის სიგრძეზე.

მასზე მართლაც ალალი და უსაყვედურო იყო ცნობილი ხელოვანის ვახტანგ ონიანის ბრინჯაოს 12-მეტრიანი ქანდაკება, რომელიც წლების მანძილზე კაცურად იდგა სიღნაღის შემოგარენში.

მაგრამ ერთ დღესაც ეს ნაამაგარი დევგმირი ფაფუუ, უკვალოდ გაქრა.

ამ სიტყვის პირდაპირი და უშუალო გაგებით.

მივიდნენ და ნაძეგლარზე ოდენ ჩონჩორიკილა დახვდათ.

წასულიყო, უფრო სწორად, წაეყვანათ, წაეღოთ, გაეტანათ ამირან დარეჯანის ძე.

აი ეს მომწონს და მიყვარს ნაციონალებისა: ჩაიფიქრებენ, შეასრულებენ!

არც ვის დაეკითხებიან, არც ვის აზრს მოისმენენ. ჩაუხტებიან მუხრან-ბატონსაო და ჩაუხტებიან და ბანსაც დააქცევენ თავზე.

ამიტომ, როგორც კი ხელისუფლების რომელიმე წითელი კოჭი მავანი პროლეტარიატის ბელადივით იტყვის, არის აზრიო, დაფეთებული ძეგლები თვითონ დაალირებენ ხოლმე თავს და დისლოკაციის ახალ ადგილებს მიაშურებენ.

მაგალითად, ასე გაჭენდა დიდი დავით ალმაშენებელი რესპუბლიკის მოედნიდან დიღმის შემოსასვლელისკენ.

ასე გადაჯდა მემედ აბაშიძე ბათუმის ბულვარიდან სადღაც გადაკარგულში.

ასევე თვითონვე აიკრა გუდა-ნაბადი ამირანის ბერძენმა ბიძაშვილმა პრომეთემ — ტიტანმა, ადამიანთა მფარველმა და კეთილისმყოფელმა, რომელმაც ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა და, კაცმა არ იცის რა დამსახურებისთვის, მიწაზე ჩამოიტანა. მადლიერმა ადამიანებმა კი ეს საჩუქარი უმალ მოიმარჯვეს ერთმანეთის ამოსაბუგად.

პრომეთე მართალია ცოტა ხანს იყო აყუდებული თამარ მეფის ხიდის ყურში, მაგრამ თბილისს მაინც თავი დაამახსოვრა იმ არემარეს შემოჩვეული უძველესი პროფესიის ასულთა დარი საეჭვოდ კეკლუცი, არაბოდიბილდინგისტური აღნაგობით.



ერთი სიტყვით, ეს ჩვენი მოცისფრო პრომეთეც ისევე უხმოდ აითესა, როგორც თავის დროზე შემოგვეპარა და მისი ასავალ-დასავალი ალბათ დედაქალაქის ფხიზელი მერის გიგი უგულავას მეტმა არავინ იცის.

ასეთია ძეგლთა ალება-წალების უახლესი ამბავი საქართველოში, რასაც, კარგად რომ დავუკვირდეთ, აპრილ-ივნისის არშემდგარ რევოლუციასთან ეძებნება პარალელი — აქვს დასაწყისი და არა აქვს დასასრული.

ახლა ილიას ძეგლს ეჯაჯგურებიან ბათუმში, წინ ზიხარ, უკან გადაჯექიო. ბათუმელები ყალყზე კი დგანან, თითი არ დააკაროთო, მაგრამ გინდა ყალყზე დადექი და გინდა კაცია მუნჯაძესავით ლიანდაგზე დადე თავი. მატარებელივით გადაგივლიან და მაინც თავისას გაიტანენ.

გორელებს შარშან აგვისტოში დაბომბვა, ცეცხლი და სისხლი არ დაკლებიათ, ახლა იმაზე აუხირდნენ, მანდ რომ ქვის სტალინი გიდგათ და უცოდველივით გაჰყურებს არე-მარეს, დიდი მტარვალი და ტირანი იყო, ამ ბედნიერ და დემოკრატიულ საქართველოს არ შეეფერება და მოედნიდან უნდა მოვაცილოთო. გორელებმა გული ამოიგდეს, ნუ გვიზამ ნოდია ბიძია ამ საქმეს, ვინც რა უნდა ის უძახოს, მაგრამ, ყველა-ყველა, დიდი კაცი იყო, ჩვენებური კაცი იყო, სამშობლოში ყოფნა ეკუთვნისო, მაგრამ ნაცმოძრაობის აჩაკუნეებს რამეს შეასმენ?!

ჰოდა, ალბათ მალე ვნახავთ ბელადს ქვის დამმუშავებელ კარიერზე ან სადმე ლილოში, მოფარებულად მდგომს — ჯუღაშვილები სულაც იქიდან არ იყვნენ?

ისე, სწორედ საოცარია: არსენა ყაჩაღის ძეგლი გედგას და სტალინის ძეგლს ბულდოზერს უპირისპირებდე.

რაც ქვის და ბრინჯაოს ძეგლებს ემართებათ, უარესი ცოცხალ ძეგლებს მოსდით. რამდენი კვარცხლბეკიდან ჩამოგდებული სრულიად ეროვნული მასშტაბის გიგანტი დადის დღეს ჩვენ შორის და დაჟინებით ცდილობს თავი შეგვახსენოს! რამდენი ყოფილი პრემიერ-მინისტრი თუ ვიცე-პრემიერი, სპიკერი თუ ვიცე-სპიკერი, ყოფილი ეროვნული მოძრაობის მამამძუძე თუ დედამძუძე იჭაჭება, კიდევ ცოცხალი ვარო. რამდენი წერეთელი, რამდენი ასათიანი, რამდენი ნოღაიდელი თუ ბურჯანაძე...

დამხობილი ძეგლები არ ლაპარაკობენ, უხმოდ ინელებენ თავს დამტყდარ უბედურებას, აი დაყირავებული ცოცხალი ძეგლები კი — მტრისას! არც თვითონ ისვენებენ და არც სხვას ასვენებენ. ქმნიან პარტიებს, წერენ ქარტიებს, თხზავენ ქვეყნის გადარჩენის პროექტებს, რომელთა აღსრულება მხოლოდ როდინობის კვირაში თუა შესაძლებელი. ეს მშვენივრად იციან (თუ არ იციან, მით უარესი მათთვისძ, მაგრამ „გონების საკვებს“ მაინც ჯიუტად აწვდიან ერს, რომელსაც ისედაც ყელში აქვს ამოსული უკვარცხლბეკო თუ ჯერაც კვარცხლბეკიანი ერის მამების გახურებული გონების ნაჟური, უკვე არავინ ტყუვდება — მთელი მოწოდება-ჩაწოდება თვითონ მათ სჭირდებათ, რათა თავიანთი არსებობა და პრეტენზიები გაამართლონ!

არავის არ უნდა უკვარცხლბეკო ძეგლობა. კაცი რომ მამალივით ერთხელ ქანდარაზე შემოჯდება, მოგჭამა ჭირი, თუ ძალით არ გააყრევინე ბუმბული, ნებით არ ჩამოვა. ასეთები ვართ ადამიანები!..

არადა, როცა იქნება დამთავრდება ეს ნაცმოძრაობა და ვარდიანობა. მერე ნახე შენ ჩვენი მსოფლიო დემოკრატიის შუქურების „ქალწულებივით ხიდიდან ფენა“, ნილზებით სიარული და მონგრეული ცხვირ-პირის გამართლება, სიზმარში ლოგინიდან გადმოვვარდიო.

იყო დასაწყისი, მაგრამ დასასრული ჯერ არ ჩანს... საქართველოში, ბოლოს და ბოლოს, არმაზის, გაცის და გაიმის ქანდაკებები დაანგრიეს თავის დროზე და მიხეილ სააკაშვილს ჰგონია, საქართველოს ბოლომდე შემოვრჩებიო?!.

**ალეკო ასლანიშვილი**

SIC!

# „თავაზიანი ევროპული სიმართლე და... სიმართლე რუსული“



***ქართულ-რუსული ომის შემსწავლელი საერთაშორისო კომისიის დასკვნა და მისი შესაძლო შედეგები საქართველოსთვის კვლავ ფართო საზოგადოებრივი პოლემიკის საგნად რჩება. როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ მოღვაწე პოლიტიკოსებსა და ექსპერტებს სხვადასხვაგვარი შეფასებები აქვთ არა მარტო დასკვნის ობიექტურობასთან, არამედ იმასთან დაკავშირებითაც, საერთოდ მართებული იყო თუ არა ასეთი კომისიის შექმნა. ქართულ საზოგადოებაში დასკვნის მიმართ უკმაყოფილება და სიმართლის ბოლომდე ართქმაზე დღემდე საუბრობენ. ამ საკითხზე „პირველი“ ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდიდატს, რუსეთში მცხოვრებ ქართველ სოციოლოგს ბადრი ძუთელიას ესაუბრა.***

„შეიძლება, მართალიც იყოს, როცა ამბობენ, „არც ჩვენი თქვა და არც მათიო“; უფრო სწორად, ერთი თუ რუსებისთვის თქვა, შვიდი — ქართველებისთვისო. რაც ვიცი, იმის მიხედვით მას მთელი სიმართლე უნდა ჰქონდეს ნათქვამი, ანუ ჩვენიც და მათიც — სიმართლე ხომ ჭეშმარიტება არ არის. წონით ჩვენი სიმართლე მეტია და ეს დასკვნაშიც ასეა. ქართველები სამართლიანად ვთვლით, რომ მთელი სიმართლე ჩვენია, მაგრამ მთლიანი სიმართლე ის არის, რომ ზოგი თვლის, პირველმა მიშამ გვესროლაო. განა მართალი არ არის? 20 წლის ბოგინის შემდეგ, ისეთ სიტუაციაში, როცა არ შეეძლო, არ ეპასუხა, დიახაც, ქართულმა მხარემ შეუტია ცხინვალში სხვა სახელით კამუფლირებულ ოკუპანტებს. ასეთივე ლოგიკით დე გოლიც აგრესორია და ომის დამწყებია, როცა ვიშის საფრანგეთში გერმანელ ფაშისტებს შეუტია, ან სტალინიც აგრესორი იყო, როცა მოსკოვის მისადგომებთან შეტევაზე გადავიდა. თუმცა ტალიავინმა ეს სიმართლეც თქვა.

დაპირისპირებულთა ამდაგვარი სიმართლის გარდა, დასკვნაში არის მესამე სიმართლეც — ევროპის სიმართლე. ევროპას თავისი ინტერესები, მოლოდინები და შიშები აქვს. არ შეიძლებოდა, ეს სიმართლეც არ ასახულიყო. როგორც რუსული, ასევე ევროპული (და ქართულიძ სიმართლეების ასახვისას, ტალიავინი (კომისიაძ ცდილობდა, ევროპულად კორექტული ყოფილიყო და „მგლისთვისაც ესიამოვნებინა და ცხვრისთვისაც, რომლის შეჭმაც მგელმა ვერ მოახერხა. მაგრამ მგონია, აქ სხვა რამეც არის და ეს სხვა შეიძლება, უფრო მნიშვნელოვანი იყოს. გაერთიანებული მსოფლიოსთვის და გლობალიზებული მსოფლიოსთვისაც ტერიტორიული კონფლიქტები სხვაგვარად დგას, ვიდრე თუნდაც ვიეტნამის ან ავღანეთის საბჭოური ომის დროს. ამერიკას ერაყსა და ავღანეთში ტერიტორიები კი არა, ზოგადი ღირებულებები აინტერესებს (ზოგი ამას ფასეულობებს ეძახისძ, შეიძლება, ნავთობთან ერთადაც, რომელსაც თავისი მუშტრები ჰყავს. შეიძლება, ევროპაც ზოგჯერ ჩვენს კონფლიქტებს გაუმაძღარ მეზობელთან ასე უყურებს: რატომ არ შეიძლება, ტერიტორიული კონფლიქტი მოლაპარაკებით მოგვარდეს?! — აგერ, ვეტყვით რუსეთს და მოვილაპარაკოთ. აფხაზეთი და ცხინვალი კანონით საქართველოა და ასეთადაც დარჩება, მაგრამ ნუ გავაღიზიანებთ...

ტალიავინი (კომისიაძ, მე მგონი, განსჯის მიღმა ტოვებს სწორედ ღირებულებათა საკითხს, რომლის პოზიციებიდანაც ცდილობს კონფლიქტის შეფასებას. გარეგნულად ტერიტორიულ კონფლიქტს ღირებულებათა პოზიციიდან აფასებს, მაგრამ ისე, რომ ღირებულებებს არ ეხება (ასე მეჩვენებაძ, მაშინ, როცა ორთავე კონფლიქტი თავიდანვე ღირებულებითი იყო და ამდენად სრულიად უზნეოა რუსეთის მიერ მისი ძალმომრეობითი გადაჭრის მცდელობა. ის რეჟიმი, რომელიც რუსეთშია, გარეგნულად თითქოს აღარ არის ისეთი საბჭოური, როგორც იყო, მაგრამ შინაგანად ისევ და ისევ სულ უფრო ტოტალიტარული ხდება (ზოგი ამას

## გლობუსი




**ირანის ბირთვული პროგრამა აშშ-ის და მისი მოკავშირეების წყალობით კარგა ხანია მსოფლიო შეშფოთების საგნად არის ქცეული. დასავლური მედია შანსს არ უშვებს ხელიდან ირანის მუქ ფერებში დახატვისათვის. პროპაგანდისტული მანქანა სისტემურად აუწყებს საზოგადოებას შიიტური ბირთვული ბომბის ლამის არის დაბადების თაობაზე. სუნიტური ბომბი უკვე არის პაკისტანის სახით...**

**გაცხოველებული დებატებისა და ურთიერთსაწინააღმდეგო ვარაუდების დროს წინასწარვე გამოაქვთ ვერდიქტი — ირანი უნდა დაისაჯოს ბირთვული იარაღის დამზადებისთვის. ის ვინც ამას აცხადებს, აინუნშიაც არ აგდებს ისლამური ირანის ფუძემდებლის აიათოლა ჰომეინის ალერგიულ დამოკიდებულებას მასობრივი განადგურების იარაღისადმი, ისე, როგორც ქვეყნის ლიდერის აიათოლა ჰამენეის ნათქვამს, რომ შიიზმის მოძღვრებიდან გამომდინარე ირანი წინააღმდეგია ბირთვული ბომბის. დასავლეთი არც იმას აქცევს ყურადღებას, რომ ირანი მიერთებულია ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულებაზე. და ეს მაშინ, როდესაც ახლო აღმოსავლეთის ბინადარ ისრაელს ბირთვული იარაღიც აქვს და ხელსაც არ აწერს გაუვრცელებლობის ხელშეკრულებას. ისრაელის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით ვაშინგტონს არასდროს აუტეხია ისეთი ხმაური, როგორც დღეს, ვინაიდან ორმხრივი სტანდარტიდან გამომდინარე, ვაშინგტონის სატელიტ ისრაელს შეიძლება ჰქონდეს ასეთი, ირანს — არა. არც მედია იკლავს თავს ამ ფაქტის გასახმიანებლად.**

ბირთვული იარაღი ის აკრძალული ხილია, რომლითაც პირის ჩატკბარუნება არაერთ სახელმწიფოს, სუსტს თუ ძლიერს, სურს. ბირთვულ კლუბში არსებულ სახელმწიფოთა რაოდენობა თითზე ჩამოსათვლელია, თუმცა პოტენციურ წევრთა რიცხვი — მზარდი. დასავლეთი მიიჩნევს, რომ ირანის ბირთვული ბომბი სტიმულს მისცემს საუდის არაბეთს, სხვა არაბულ ქვეყნებს შექმნან ასეთი, რაც თავისთავად გააიოლებს ტერორისტთა მიერ ბომბის ხელში ჩაგდების შესაძლებლობას.

ბირთვული იარაღი ქვეყნის პრესტიჟია. გაქვს იარაღი? მოწიწებით გეპყრობიან! საილუსტრაციოდ ჩრდილო კორეა კმარა, რომ აღარაფერი ვთქვათ ბირთვული იარაღის ტრადიციულ მფლობელებზე. ბირთვული იარაღით პოლიტიკურ ვაჭრობასაც აქვს ადგილი. გავიხსენოთ ისევ ჩრდილო კორეა, რომელიც თვლის, რომ ბირთვულ იარაღზე ხელის აღება მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, თუ ვაშინგტონი და მოლაპარაკებებში მონაწილე ხუთი ქვეყანა შეასრულებს ფხენიანის ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოთხოვნებს.

ბირთვული ენერგიის მისაღებად კვლევითი სამუშაოების წარმოება ყველასათვის დაშვებულია გარკვეულ ზღვრამდე, რასაც ადგენს და მონიტორინგს უწევს ბირთვული ენერგიის საერთაშორისო სააგენტო. ირანი არ არის გამონაკლისი, რის შესახებაც აღნიშნა კიდევაც აშშ-ს პრეზიდენტმა ობამამ. ბირთვული ენერგიის მიღებისათვის საჭირო სამეცნიერო კვლევა თავისთავად ზრდის შესაძლებლობას ბირთვული იარაღის შექმნისათვის. სწორედ ამით არის შეშინებული დასავლეთი, რომელსაც, უნდობლობის ფაქტორიდან გამომდინარე, მიაჩნია, რომ დასავლეთს დაპირისპირებული ირანი შექმნის ბირთვულ იარაღს.

**მონაცემების მიხედვით ბირთვული იარაღის შექმნის სურვილი ფაშისტურ გერმანიაში გაჩნდა. სწორედ ეს გახდა მიზეზი 1939 წლის აგვისტოს, ცნობილ მეცნიერთა ჟოლიო-კიურის, ფერმის, სცილარდის და აინშტაინის წერილის აშშ-ს პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტის სახელზე. მეცნიერები სთხოვდნენ პრეზიდენტს დაესწროთ გერმანიისათვის. წერილს პრეზიდენტმა შემდეგი რეზოლუცია დაადო — „საჭიროებს მოქმედებას“, თუმცა გადაწყვეტილება სამუშაოთა დაწყების თაობაზე მხოლოდ 1941 წლის 6 დეკემბერს მიიღეს. იმავე წლის 13 აგვისტოს პროექტს „მანჰეტენის პროექტი“ ეწოდა. ბომბის შექმნაზე 150.000 კაცი მუშაობდა. აშშ-მა ორ მილიარდ დოლარად, იმ დროისათვის საკმაოდ დიდ თანხად, სამი ბომბი დაამზადა. 1945 წლის 25 მარტს იმავე მეცნიერებმა კვლავ მიმართეს წერილით აშშ-ს პრეზიდენტს. ამჯერად ისინი კატეგორიულად ითხოვდნენ ბირთვული იარაღის აკრძალვას. მეცნიერები ბომბის დამზადების პროცესში მიხვდნენ, თუ რასთან ჰქონდათ საქმე. იმ პერიოდში აინშტაინი იტყვის: „მე, რომ მცოდნოდა ჰიტლერს არ ჰქონდა ბირთვული ბომბი, მის შექმნას მხარს არ დავუჭერდი“.**

1950 წლის 19 მარტს ჟოლიო-კიურომ პირველმა მოაწერა ხელი სტოკჰოლმის მოწოდებას — მოვითხოვოთ დაშინების და მასობრივი განადგურების ატომური იარაღის უსიტყვო აკრძალვა. მოწოდებას ნახევარმა მილიარდმა ადამიანმა მოაწერა ხელი, მაგრამ ამით საკითხი არ გადაიჭრა.

ბირთვული იარაღის მეორე მფლობელი საბჭოთა კავშირი იყო. სტალინის დავალებით ბერია ედგა სათავეში საბჭოთა პროგრამას. მოსკოვმა, დღიდან ბირთვული ბომბის გამოცდისა (1949 წ.) მოუწოდა აშშ-ს მისი აკრძალვისაკენ. და არა მარტო ბირთვული იარაღის, არამედ შეიარაღების შემცირებისაკენ. საბჭოთა წინადადებებით გაბეზრებულმა ედლაი სტივენსონმა, გაეროში აშშ-ის წარმომადგენელმა, საბჭოეთის წარმომადგენელს ანდრია გრომიკოს კონფიდენციალურად უთხრა: „აშშ-ის მსხვილი ბიზნესი თავის არსებობას იარაღის წარმოების გარეშე შესაძლებლად არ მიიჩნევს. ვაშინგტონში განიარაღებას სერიოზულად არავინ უყურებს, მაგრამ მე ამ განცხადებას უშიშროების საბჭოს სხდომაზე არ გავაკეთებ“.

**საბჭოთა კავშირს არც ის უნდა დავუკარგოთ, რასაც 1963 წელს ჰქონდა ადგილი. მან ბევრი ილვაწა კოსმოსში, ატმოსფეროსა და წყალქვეშ ბირთვული იარაღის გამოცდების აკრძალვისათვის. ამჯერად მიმდინარეობს რუსეთ-აშშ-ს ექსპერტთა მუშაობა სტრატეგიული ბირთვული შეიარაღების შემცირებისათვის. ხელშეკრულება ა. წ. დეკემბრისათვის უნდა იყოს მზად.**

რუსეთ-ირანს კარგა ხანია მჭიდრო თანამშრომლობა აკავშირებს. ორ ქვეყანას შორის ვაჭრობამ 3-5 მილიარდ დოლარს გადააჭარბა. რუსეთი ირანს უშენებს ბუშერის ბირთვულ ელექტროსადგურს, გარდა ამისა ვაჭრობას მასთან სამხედრო იარაღითაც. ირანის ბირთვული პროგრამა არაერთხელ განიხილა გაეროს უშიშროების საბჭომ. ორჯერ, ვაშინგტონის დაბეჯითებული მოთხოვნით, ირანის მიმართ ეკონომიკური სანქციებიც იყო დაწესებული, თუმცა მას ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის ხელი არ შეუშლია. რუსეთმა მაქსიმალურად ილვაწა, რათა სანქციები შერბილებულიყო. რუსეთის პრეზიდენტის სენსაციური განცხადება, რომელიც მან ობამასთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა, ნიშნავს იმას, რომ ის მხარს დაუჭერს ირანის მიმართ ახალი სანქციების წინადადებას უშიშროების საბჭოში, ცხადია მაშინ, თუ ბირთვული სააგენტო დაადგენს, რომ ირანი ამზადებს ბირთვულ ბომბს.

განსაკუთრებული აქტიურობით გამოირჩევა ისრაელი. მისი დაბეჯითებული განცხადებით ირანი თითქმის მზადაა ბირთვული ბომბის დამზადებასთან და იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს, ა. წ. ბოლომდე მზად არის საჰაერო იერიში მიიტანოს ირანის ბირთვულ ობიექტებზე. სამწუხაროდ ასეთ შესაძლებლობას არც აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი გამორიცხავს, თუმცა ისრაელის პრეზიდენტმა შიმონ პერესმა, გასულ აგვისტოს, სოჭში, მედვედევთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ ისრაელი არ აპირებს ირანის ობიექტების დაბომბვას. მისი აზრით ბომბებით აზროვნებას ვერ წაშლი. ირანის მეცნიერებს პროგრამა თავში აქვთ, რაც საშუალებას მისცემს ირანს დაბომბვის შემდეგ განაახლოს კვლევები. მედვედევმა პერესის სიტყვები პრესკონფერენციაზე მოიშველია, რამაც ერთობ გააღიზიანა ისრაელის აღმასრულებელი ხელისუფლება. ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დანი ალონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთის პრეზიდენტს არ აქვს უფლება ისრაელის სახელით ილაპარაკოს. „ჩვენ ყველა ვარიანტს ვიხილავთ“ — თქვა მან. გენერალური შტაბის უფროსმა გაბი აშკენაზიმ კი დაუმატა: „ისრაელს აქვს უფლება თავი დაიცვას, რისთვისაც ვიხილავთ ყველა შესაძლებლობას“. იმ შემთხვევაში თუ თავდასხმა მოხდა, ეს იქნება ყველაზე ცუდი ვარიანტი, უმძიმესი შედეგებით. **ამ აზრს იზიარებს ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი ბჟეზინსკი, რომელიც მოუწოდებს ობამას და ერაყში დისლოცირებულ ამერიკულ საჰაერო ძალებს უმალ ჩამოაგდონ ერაყის საჰაერო სივრცეში შესული, ირანის დასაბომბად მფრინავი ისრაელის თვითმფრინავები. მისი აზრით, ისრაელმა ამერიკა არ უნდა ჩაითრიოს ირანთან ომში.**

მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე, ირანთან ომის საფრთხე მინიმუმამდე დადის. 1 ოქტომბერს შედგა ექვსეულის შეხვედრა ირანის წარმომადგენლებთან. 7-საათიანმა მოლაპარაკებამ კონსტრუქციულად ჩაიარა. 19 ოქტომბერს ირანი უმასპინძლებს ბირთვული სააგენტოს ინსპექტორებს და აჩვენებს ბირთვული კვლევის ობიექტებს, მათ შორის მშენებარეს ქალაქ კუმთან, სადაც ურანის გამდიდრებისათვის 3.000 ცენტრიფუგა იქნება. ბირთვული იარაღის დამზადებისათვის საჭიროა ურანის 90 პროცენტამდე გამდიდრება. ნატანზის სადგურში 54.000 ცენტრიფუგაა. კუმის ცენტრიფუგებთან ერთად ეს საკმარისი არ არის ურანის 90 პროცენტამდე გამდიდრებისათვის. ირანს ბრალს სდებენ კუმის ქარხნის მალულ მშენებლობაში. ქარხანა 3 წელია შენდება და ამოქმედებამდე ერთი წელია. ირანმა დადგენილი წესით (6 თვით) უკვე შეატყობინა ბირთვულ სააგენტოს ერთი წლის შემდეგ ქარხნის ამუშავების თაობაზე.

**ირანის ბირთვული საკითხი ერთობ მნიშვნელოვანია იმ რეგიონისათვის, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. უნდა ვიმედოვნოთ, რომ 19 ოქტომბრის შემოწმება ხელს შეუწყობს არსებული კონფრონტაციული სულისკვეთების გაქარწყლებას. სწორედ ამაზე ამყარებენ იმედს მშვიდობისმოყვარე ადამიანები და არა დაპირისპირების გაღრმავებაზე, რასაც სამწუხაროდ ჩვენთან აქვს ადგილი. ზოგიერთი პოლიტიკოს-პოლიტოლოგი თვლის, რომ ირანთან დაპირისპირება გაზრდის საქართველოს მნიშვნელობას, ალბათ სამხედრო აეროდრომის ამერიკა-ისრაელის თვითმფრინავების მიერ გამოყენებას გულისხმობენ. ისე, როგორც გასული წლის 7-8 აგვისტოს აქცენტი საქართველოს საზიანოდ კეთდება, ვინაიდან ვაზიანიდან გაფრენილი თვითმფრინავებს აუცილებლად მოჰყვება ირანის პასუხი, ისეთი აღა მაჰმად ხანს რომ დაგვავიწყებს. ამ ლოგიკით არც სომხურ-თურქული დაახლოება არის ჩვენთვის მისაღები. აღნიშნულის რეალიზების შემთხვევაში მოსალოდნელია სატრანზიტო ტვირთბრუნვის 25.30 პროცენტით შემცირება. ქართულმა პოლიტიკამ მზაკვრული ოცნების ნაცვლად პრაგმატულად უნდა იფიქროს, ყველაფერი იღონოს დაკარგული პოზიციების აღსადგენად, რისთვისაც აზრიანი პოლიტიკოსებია საჭირო. ხელისუფლება აზრის მხრივ დიდ დეფიციტს განიცდის.**

დასასრულს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ბირთვულმა იარაღმა შეძლო დიდ სახელმწიფოთა შორის ომის შეჩერება. ბირთვული იარაღი იყო ის უმთავრესი ფაქტორი, რამაც გასული წლის 7-8 აგვისტოს აშშ-ს ხელი აალებინა საქართველოს მხარეს ეომა. ბირთვულ იარაღს უნდა უმადლოდეს მსოფლიო 1945 წლის შემდეგ არსებულ მშვიდობას.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

## SIC!

„ბარდაგს“ უწოდებს რუსეთშიც კი და თავისუფლების ის წილი, რომელიც აქაურებს გააჩნიათ, სწორედ ამ „ბარდაგის“ შედეგია). ხოლო ის რეჟიმი, რომელსაც ოკუპირებულ ტერიტორიებზე დღეს ამყარებენ, თუ უკვე დაამყარეს, არათუ საბჭოური ფეოდალიზმი, არამედ გულაგური „კაპიტალიზმია“, ან ადრეული კაპიტალიზმის დროს კოლონიიდან ნედლეულისა და ქვა-ღორღის გატანას მოგვაგონებს. საქართველოსათვის ტერიტორიების წაგლეჯის („მალო ზემლი“) მცდელობა თავისი არსით და ეს უფრო ძირითადია ევროპისა და დემოკრატიული მსოფლიოსათვის, არა ტერიტორიული კონფლიქტია რუსეთსა და საქართველოს შორის, არამედ რუსეთს შიგნით არსებული რეჟიმის, გებისტურ-გულაგური ღირებულებების საზღვრების გაფართოების პოლიტიკაა.

ტალიავინის დასკვნა პოლიტკორექტულია, ანუ თანამედროვე ევროპული მოთხოვნებითაა აგებული, მაგრამ თუ მას ცივილიზაციათა ფაქტობრივი შეჯახების შუქზე განვიხილავთ, არა მგონია, გამართლებული იყოს გულაგური წარსულის მიმართ, რაც დღეს რეალურად არის ორთავე ოკუპირებულ და მკვიდრი მოსახლეობისაგან დაცლილ რეგიონში, რომლის რეანიმაციასაც ცდილობს რუსეთი საბჭოურის რეინტეგრაციის სახით. ეს ის რკინის ფარდაა, რომელსაც რუსეთი აგებს საქართველოს, კავკასიის რეგიონში დასავლეთის ფორპოსტსა და კვლავ საბჭოურ გზაზე შემდგარ რუსეთს შორის. რუსეთმა ასი კილომეტრით გადმოსწია თავისი კედელი. ამ თვალსაზრისით რომ განვეხილა კონფლიქტი, შეიძლება, დასკვნა სხვაგვარი ყოფილიყო. შეიძლება ესეც გათვალისწინებულია ტალიავინის დასკვნაში. ჩვენ კი გვგონია, რომ შეფასებისას უფრო ჭკვიანები ვართ. ისე, ყველაფერს თავისი დრო აქვს.

რუსეთში ზოგი ანალიტიკოსი იმასაც კი ფიქრობს, რომ რუსეთის ამგვარ მოქმედებაში პოლიტიკისა (კედლის გადაწევის სურვილისა) იმდენი არ არის, რამდენიც კერძო ინტერესისა. დავინტერესდი, განა იმდენი რა სიმდიდრეა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რომ ამად ღირდეს, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ უკანონო გზით სხვა ადამიანების ქონების მითვისება დიდხანს ვერ შერჩებათ. — არა, — მპასუხობენ ამაზე, — აქ არ არის გათვალისწინებული ის სიმდიდრე, რომელიც შეიძლება, კურორტების ექსპლუატაციამ მოიტანოს, უფრო ანგარიში წამიერ მოგებაზეა აგებული. გაიზიდოს ღორღი, რომ გაათეთრონ ოლიმპიური ფული, და, რაც მთავარია, გაათეთრონ კონფლიქტების შედეგების სარეაბილიტაციოდ გამოყოფილი უზარმაზარი თანხები.

ევროპა კი ამ ოსტაპებისა და კორეიკოების მოქმედებებს თეორიებით ხსნის... — როგორ, თავად...? დიახ, თავად მისი უპირველესი ამოცანაც არა დრომოჭმული სისტემის გამაგრებაა, არამედ ამ სისტემის კედლის გადაწევით რაც შეიძლება, მეტი პირადი სიმდიდრის მოხვეჭა, — მეუბნება საკმაოდ ინფორმირებული ინტელექტუალური სფეროს მუშაკი.

**ლევან ჭითანავა**

## ინფორმაცია

### „სოკარმა“ იორმუღანლოელები და ანაგელები გააცურა

**აზერბაიჯანულ კომპანია „სოკარს“, რომელიც კახეთში ბუნებრივი აირის დისტრიბუციას ახორციელებს, საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმუღანლოს მოსახლეობაც უპირისპირდება. ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრიდან იტყობინებიან.**

**როგორც იორმუღანლოს მცხოვრებლებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს აცნობეს, „სოკარმა“ გაზი მხოლოდ სოფლის ერთ ნაწილამდე მიიყვანა და მხოლოდ 4 ოჯახის გაზიფიცირება მოახდინა, ტელეკომპანიების მეშვეობით კი საზოგადოებას მთელი იორმუღანლოს გაზიფიცირების შესახებ აუწყა.**

**„სინამდვილეში მთელ სოფელში გაზი თვითონ უნდა გავიყვანოთ, რაც საკმაოდ ძვირი ჯდება და ამას გაზის სახლამდე შეყვანის გაორმაგებული ღირებულებაც ემატება. თავიდან გვპირდებოდნენ, რომ საცხოვრებელ სახლებამდე გაზს თვითონ მიგვიყვანდნენ, მაგრამ გადაგვაგდეს. არსებული პირობებით ბუნებრივი აირით სოფლის მოსახლეობის 10 პროცენტიც კი ვერ ისარგებლებს“, — განაცხადეს იორმუღანლოს მცხოვრებლებმა. ოფიციალური მონაცემებით, სოფელ იორმუღანლოში 4 ათასზე მეტი ოჯახი ცხოვრობს.**

**სიღნაღის რაიონის სოფელ ანაგაში საპროტესტო აქცია გაიმართა. ადგილობრივები კომპანია „სოკარის“ მიერ, რაიონში, გაზიფიცირების ღირებულების გაორმაგებას აპროტესტებენ. საპროტესტო აქციაში ასზე მეტი ადამიანი მონაწილეობდა.**

**როგორც აქციის მონაწილეებმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს განუცხადეს, „სოკარის“ შემოსვლამდე საცხოვრებელ სახლში ბუნებრივი აირის შეყვანა, მრიცხველის დამონტაჟება და აბონენტად რეგისტრაცია 140 ლარი ღირდა, ამჟამად კი 263 ლარი ღირს. „როგორც სხვა კომპანიები, რომლებსაც რეგიონში ვითომ ინვესტიციები უნდა განეხორციელებინათ და სინამდვილეში ხალხის ხარჯზე კიდევ უფრო მდიდრდებიან, „სოკარიც“ მარტო წაგლეჯვას ცდილობს და ახერხებს კიდევაც. — აღნიშნეს აქციის მონაწილეებმა.**

**„სიღნაღგაზის“ დირექტორის მოადგილის გია ზედელაშვილის განმარტებით, „გაზიფიცირების ფასის გაზრდა იმან გამოიწვია, რომ „სოკარს“ ძვირადღირებული და უფრო მოწესრიგებული მრიცხველები აქვს შემოტანილი“.**

ჯი-ეიჩ-ენი

**მეცნიერება**

**შესრულდა 100 წელი XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ფიზიკოს-თეორიკოსის, აკადემიკოს ნიკოლოზ ბოგოლუბოვის დაბადებიდან. მისმა ღრმა გამოკვლევებისა და ფუნდამენტური მონოგრაფიებისგან შემდგარმა მეცნიერულმა შემოქმედებამ უზარმაზარი გავლენა მოახდინა თეორიული ფიზიკისა და მათემატიკური ფიზიკის წამყვან დარგებზე: არაწრფივი მექანიკა, კლასიკური და კვანტური სტატისტიკა, ველის კვანტური თეორია, ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკა...**

სწორედ საიუბილეო თარიღის წინ რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ დაასრულა ნ. ბოგოლუბოვის შრომების კრებულის გამოცემა 12 ტომად!

დიდი რუსი სწავლულისა და განოზულად მოვკიდე ხელი მეცნიერებას... ისე, განსაკუთრებით მავნე ხასიათით არ გამოვირჩეოდი...

თბილისში რომ ჩამოდიოდა ხოლმე, ნ. ბოგოლუბოვი ყოველთვის ესწრებოდა, ამ მორწმუნე ქრისტიანობის გამართლებით, პატრიარქის დილის წირვას სიონის საკათედრო ტაძარში; წირვის მერე კი ამბობდა, რომ ზეპირად იცის ლიტურგიული ტექსტები და პატრიარქის კვალდაკვალ თავისთვის იმეორებს საეკლესიო სლავურ ენაზე.

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე კარგად იცნობდა საქართველოს კულტურასა და მეცნიერებას, დიდად აფასებდა ერთსაც და მეორესაც. ნ. ბოგოლუბოვს მეგობრული და შემოქმედებითი ურთიერთობები აკავშირებდა აკადემიკოსებთან ნირალური განტოლებების თეორია ჯერ კიდევ 1940-იან წლებში იყო დამუშავებული ნ. მუსხელიშვილისა და ი. ვეკუას მიერ და სთხოვა მოწაფეს მათის შრომებში გარკვევა. შედეგად ნ. ბოგოლუბოვისა და ა. თავხელიძის ერთობლივ გამოკვლევაში, რომელიც ნ. მუსხელიშვილის 70 წლისთავს მიეძღვნა, ნაჩვენები იყო მისი მეთოდების ზოგადობა და ეფექტიანობა ფოტოწარმოშობისთვის მიღებულ განტოლებათა ამონახსნების ანალიზისათვის.

ისტორიული სიმართლე აღდგა და სამეცნიერო ლიტერატურაში ამ განტოლებებს დაუწყეს მოხსენიება, როგორც მუსხელიშვილ-ომნესის ტიპის განტოლებებს...

საქართველოში თანამედროვე ფიზიკის განვითარების მიზნით ნ. ბოგოლუბოვმა მხარი დაუჭირა

# ნიკოლოზ ბოგოლუბოვი და საქართველო



ალბერტი თავხელიძე და ნიკოლოზ ბოგოლუბოვი

მანათლებლის სახელისადმი პატივისცემას ქართველი მეცნიერული საზოგადოებრიობის მხრივ „დამატებით" ის გარემოება განაპირობებს, რომ ნ. ბოგოლუბოვის უთვალსაჩინოეს აღზრდილთა შორის გახლავთ გამოჩენილი ფიზიკოს-თეორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამდვილი წევრი (წლების მანძილზე პრეზიდენტიც) და რუსეთის (ადრე სსრ კავშირის) მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ალბერტ (ალეკო) თავხელიძე.

თბილისში ყოველთვიურად გამოდის ჩინებული პოლიგრაფიულობით დასტამბული, მდიდრულშინაარსიანი რუსულენოვანი საზოგადოებრივ-მხატვრული ჟურნალი „რუსკი კლუბ". სწორედ ამ ჟურნალის აგვისტოს ნომერში დაიბეჭდა ა. თავხელიძის ფრიად საგულისყურო წერილი „სიტყვა მასწავლებელზე", მიძღვნილი ნ. ბოგოლუბოვისადმი. წინამდებარე წერილი ამ პუბლიკაციის მიხედვით არის მომზადებული.

ერთ-ერთი საუბრის დროს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე თურმე ჩაფიქრდა, ეშმაკურად შეხედა საყვარელ მოწაფეს და უთხრა:

– იცით, ალბერტ ნიკიფორის ძევ, როცა მოვკვდები, ალბათ გკითხავენ ჩემზე. უპასუხეთ, რომ მორწმუნე ქრისტიანი ვიყავი. მთელი ცხოვრება თავდაუზოგავად ვშრომობდი. ცამეტი წლისამ სერიკო მუსხელიშვილთან და ილია ვეკუასთან. ერთი საგულისხმო მაგალითი.

1950-იან წლების ბოლოს ნ. ბოგოლუბოვმა შეიმუშავა დისპერსიულ ურთიერთობათა თეორია ველის კვანტურ თეორიაში, რომლის საფუძველზე ანატოლი ლოგუნოვმა (დიდი მეცნიერის კიდევ ერთი გამორჩეული მოწაფე, აკადემიკოსი) და ალბერტ თავხელიძემ გამოიყვანეს სინგულარული ინტეგრალური განტოლებები ნუკლონებზე პი-მეზონების ფოტოწარმოშობის ამპლიტუდისათვის. მიღებული განტოლებების მიახლოებითი ამონახსნები იძლეოდა არსებული ექსპერიმენტული მონაცემების თვისებრივ ახსნას; ამ მიზეზით ფოტოწარმოშობისათვის დადგენილ განტოლებათა ზუსტი ამონახსნების მონახვას პრინციპული მნიშვნელობა ექნებოდა დისპერსიულ ურთიერთობათა თეორიის ფიზიკური საფუძვლების შემოწმებისათვის.

ა. ლოგუნოვისა და ა. თავხელიძის განტოლებათა ზუსტი ამონახსნების აგების ცდები გამოჩნდა ფრანგი მკვლევარის რ. ომნესის შრომებში და სამეცნიერო ლიტერატურაში შემოვიდა ომნესის ტიპის განტოლებების სახელწოდება; გაეცნო რა ფრანგი მეცნიერის სტატიებს, ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ იმ გარემოებას მიაპყრო ა. თავხელიძის ყურადღება, რომ წრფივი სინგულარული ინტეგთეორიული ფიზიკის განყოფილების გახსნას რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტში და მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის შექმნას ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში. ეს სამეცნიერო ცენტრები ძირითადად დაკომპლექტებული იყო იმ ახალგაზრდა სპეციალისტებით, რომლებიც აქტიურად მუშაობდნენ დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში. ამან უზრუნველყო დუბნასთან მჭიდრო კავშირების შენარჩუნება და სათავე დაუდო მსოფლიოს მსხვილ ბირთვული ფიზიკის ცენტრებთან თანამშრომლობას...

ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე მართლაც რომ ცხოვრებისეული კაცი გახლდათ. ყველაფერ დანარჩენთან ერთად ის ბრწყინვალედ ერკვეოდა კეთილშობილ სასმელებში – კონიაკი, ვისკი, კარგი ღვინოები. თბილისში ერთხელ ყოფნისას შამპანურ ღვინოთა ქარხანას ეწვია. მთავარი მეღვინე განმარტებებს იძლეოდა შამპანიზაციისათვის აუცილებელი ესენციის მომზადების პროცესის გარშემო და განსაკუთრებით ხაზს უსვამდა ერთ ამბავს – ესენციას რომ უმარტივესი ორგანიზმები – ბაქტერიები უზრუნველყოფენ. საპატიო სტუმარს როცა შესთავაზეს შეუდარებელი კეთილსურნელებისა და ღვთაებრივი გემოს მქონე ესენციების გასინჯვა, ასეთი რამ წარმოუთქვამს: „უმარტივესი ორგანიზმებიო, ამბობთ? მაგრამ ისინი ხომ ზუსტად აზროვნებენ, თუ სად იქნებიან კარგად"...

წერილს იმაზე აქცენტით დავასრულებ, თუ როგორი, მსოფლიო მასშტაბით უნიკალურად „ვუნდერკინდულია" ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ბოგოლუბოვის მეცნიერული ბიოგრაფია: შვიდწლედის დამთავრებისას დაიწყო დამოუკიდებელი მეცადინეობა მათემატიკასა და ფიზიკაში; 13 წლისამ ვარიაციული გამოკვლევებით უკვე მოახდინა შთაბეჭდილება მათემატიკურ სამყაროზე; 17 წლისამ დაასრულა უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა; 27 წლისა გახდა კიევის უნივერსიტეტის პროფესორი, 39 წლისა – უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, 44 წლისა – სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი... საპატიო წოდებები, პრემიები, ჯილდოები, თანამდებობები ჰქონდა „უთვალავი ფერისა"...

**თამაზ ებანოიძე**

**ახალი ნობელიანტები**



# თვითონაც გაჰკვირვებია...

**ჩვენი გაზეთი „ძუნწად" უკვე იუწყებოდა აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამასათვის მშვიდობის დარგში ნობელის პრემიის მინიჭების თაობაზე.**

ეს პირველი შავკანიანი პრეზიდენტი 9 ოქტომბერს გახდა პირველი სახელმწიფოს მეთაური, ვინც ქვეყნის სათავეში ჩადგომიდან ერთი წლის გასვლასაც არ „დაელოდა", ისე გახდა ნობელიანტი.

ნობელის კომიტეტმა 2009 წლის მშვიდობის პრემიის ლაურეატად ობამა აირჩია იმისი „ექსტრაორდინალური ძალისხმევისათვის" საერთაშორისო დიპლომატიის განმტკიცებასა და უბირთვულიარალო მსოფლიოს შექმნაში. გავიხსენოთ, რომ ის არ გახლავთ აშშ-ის პირველი ნობელიანტი მეთაური: 1906 წელს პრემია ხვდა თეოდორ რუზველტს, 13 წლის მერე – ვუდრო ვილსონს. სხვა სახელმწიფოს ლიდერთაგან უმაღლესი ჯილდოს ღირსნი სხვადასხვა დროს გამხდარან მიხეილ გორბაჩოვი (სსრ კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი!), კიმ დე ჩჟუნი (სამხრეთ კორეის პრეზიდენტი), იცხაკ რაბინი (ისრაელის პრემიერი) და ვილი ბრანდტი (გფრ-ის ფედერალური კანცლერი).

თეთრი სახლის პრეს-მდივანმა რობერტ გიბსმა განაცხადა, რომ ობამასათვის პრემიის მიკუთვნების ცნობა ყველასათვის სრული სიურპრიზი აღმოჩნდა. თეთრ სახლში პირველმა სიგნალმა ვაშინგტონის დროით დილის 3 საათზე შეაღწია. დილის 6 საათზე გიბსმა გაბედა მძინარე (და აქვე სათქმელად, მხვრინავი) პრეზიდენტის გაღვიძება და მიხარება. თანაშემწის სიტყვებით, ობამას პირველი რეაქცია გაკვირვება ყოფილა. მერე და მერე წამოსცდენია: „ნება მომეცით ნათლად თქმისა – ამას როდი აღვიქვამ ჩემი საკუთარი დამსახურების აღიარებად, ეგ უფრო ამერიკული ლიდერობის დადასტურებაა იმ იმედების გაღვივებაში, რომლებიც ყველა ქვეყნის ხალხს აქვს".

გიბსმა ვერაფერი ვერ უპასუხა ჟურნალისტების შეკითხვას, თუ როგორ გამოეხმაურა სასიამოვნო ამბავს აშშ-ის პირველი ლედი.

სამაგიეროდ, ცნობილია სხვათა და სხვათა კომენტარები. „ნობელის კომიტეტმა იჩქარა აშშ-ის პრეზიდენტზე არჩევნის გაკეთება. ობამას ცხრა თვის საქმიანობა არაა საკმარისი ასეთი გადაწყვეტილებისათვის. მას აქამდე ვერ მოუნახავს ნათელი მიდგომა ავღანეთისა და ერაყის პრობლემებისადმი, ისრაელის მხრიდან პალესტინელთა დაჩაგვრისადმი" – ეს ირანის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენლის პოზიციაა, ყოვეკვირეულ პრესკონფერენციაზე გამოთქმული.

კუბის რევოლუციის ლიდერმა ფიდელ კასტრომ მაღლი ჯილდოს მინიჭება ობამასათვის პოზიტიურ ღონისძიებად მიიჩნია. მისი აზრით, ნობელის პრემია კომპენსაციად გამოდგება მარცხისთვის, რაც აშშ-ის მეთაურმა კოპენჰაგენში იწვნია,



როცა 2016 წლის ოლიმპიურ თამაშების ადგილად ჩიკაგო კი არა, რიო-დე-ჟანეირო აირჩიეს. „ბევრი ფიქრობს, რომ მას ჯერ არ „გამოუმუშავებია" პრემიის მიღების უფლება. ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილებაში ჩვენ უნდა ვხედავდეთ კრიტიკას აშშ-ის არაერთი წინა პრეზიდენტის პოლიტიკისა" – აღუნიშნავს კასტროს.

ერთმა გამოცდილმა ვაშინგტონელმა პოლიტოლოგმა ახლადგამომცხვარ ნობელიანტს „მშვიდობის შავი მტრედი" უწოდა; „მტრედმა" კი შეგვახსენა, რომ ის იმ ქვეყნის შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლად რჩება, რომელიც ახლა ომს ეწევა ერთბაშად ორ ქვეყანაში. ერთ-ერთში – ავღანეთში – ბოლო თვეებში შესამჩნევი ესკალაცია მოხდა.

...ასეა თუ ისე, ობამა დაახლოებით 1,4 მილიონ დოლარს „დაირტყამს" და ახლავე გვპირდება, რომ მთელ თანხას საქველმოქმედო საქიროებებზე „გაუშვებს".

**ლუკა გორგაძე**

**ინფორმაცია**

## მეორე არხი პოლიტიკური არხის ფორმატით ფუნქციონირებას 2010 წლის დასაწყისიდან დაიწყებს

**ამის შესახებ განცხადება საზოგადოებრივი მაუწყებლის გენდირექტორმა გია ჭანტურიამ პარლამენტში გამართული კონსულტაციის შემდეგ გააკეთა.**

**– მეორე არხთან დაკავშირებით უკვე დავიწყეთ მუშაობა და, სავარაუდოდ, 2010 წლის დასაწყისიდან არხი დაიწყებს მუშაობას. იმედი გვაქვს, რომ უმოკლეს ხანში ამ არხს გავხდით იმ არხად, რომელიც გამოადგება საზოგადოებას და ზუსტად ასახავს ყველა იმ პოლიტიკურ-საზოგადოებრივ პროცესებს, რომელიც მიმდინარეობს ქვეყანაში, - განაცხადა ჭანტურიამ.**

**მისი თქმით, მეორე არხი ორიენტირებული იქნება ყველა იმ პოლიტიკურ პროცესზე, რომელიც მიმდინარეობს ქვეყანაში.**

**– ეს იქნება არხი, რომელიც გააშუქებს აბსოლიტურად ყველა პოლიტიკურ და სოციალურ მოვლენას. სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს მიეცემათ საშუალება უფრო ვრცლად წარადგინონ თავიანთი პოზიციები, – აცხადებს ჭანტურია.**

**კონსულტაცია საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტებასთან დაკავშირებით დავით ბაქრაძის ინიციატივით გაიმართა.**

ᲮᲘ-ᲔᲘᲒ-ᲔᲜᲘ

14 ოქტომბერი – მცხეთობა

# ერის უპირველესი დღესასწაული

**მცხეთობა საქართველოს ერთიანობის ზეიმია, მამაპაპათა უკვდავების სადიდებელი სიმღერაა. მცხეთობა იავნანაა, ჩვენი მომავალი თაობის გმირული სულის დამლოცველი, დამმოძღვრელი. მცხეთა ქართველთა სიმტკიცის სიმბოლოა, გულიდან ჯავრის გადამყრელგამქარვებელი.**

მცხეთობა ამერ-იმერის ფერხულია მხარშეწყობილი და ერთ ზვირთად ამაღლებული, მას ჯერ კიდევ ქრისტიანობის მიღებამდე ზეიმობდნენ ჩვენი წინაპრები.

მცხეთა იყო წარმართული საქართველოს იდეოლოგიური ცენტრი, აქ იდგა არმაზის, გაცის, გაიმის, ნანას, დანანას, ზადენის და აფრიდოტეს კერპები. მცხეთა ქართველი ხალხის წმიდათა წმიდა სავანეა. მის მიწაში განისვენებს იბერიის სახელმწიფოს ოცზე მეტი მეფე: ფარნავაზი – უებრო მხედარი და მოისარი შემმართებელი, რომელმაც შეკრა, გააერთიანა ამერიმერი; „გოლიათი გოლიათთა“ ვახტანგ გორგასალი, ქართლის გმირი სვიმონ პირველი, ქართლ-კახეთის უბრწყინვალესი მეფე ერეკლე მეორე; მონღოლებმა დიმიტრი თავდადებულს თავი მოკვეთეს, ერთგულმა ქართველებმა მისი სხეული მოიტაცეს და მცხეთის წმინდა მიწას მიაბარეს... მცხეთის ემბაზში განინათლა პირველი ქრისტიანი ქართველი. აქ სვეტიცხოველშია დამარხული სიდონია, რომელსაც უფლის კვართი აქვს გულში ჩახუტებული, აქვეა ილია წინასწარმეტყველის ხალენი.

ევსტათი მცხეთელი ასე შესთხოვდა მამა ზეციერს: „ვითხოვ შენი სახიერისგან, რათა არა დაეტიოს გვამი ჩემი აქა თბილისსა შინა, არამედ რათა დაიმარხოს იგი მცხეთასა წმინდასა“.

მცხეთა მარადიული მშვენიერებაა, რომელსაც უმღეროდნენ და უმღერიან მასპინძლები, სტუმრები, მგოსნები და მგალობელნი. მცხეთაში არ კვდებიან ისინი, რომლებიც ერის შანდალზე სანთლად აენთნენ და გზა გაუნათეს მომავალს.

„მცხეთის უბეში მივიღეთ ჩვენ ქრისტეს რჯული. აქ გამოსჭრა ნინომ ჯვარი ვაზის ნასხლევებისგან და მოახვია მას თავისი თმები. აქვე მტკიცდებოდა ხელმწიფება საქართველოსი. აი, მცხეთა, როგორც კამარამოვლებული „მთელი“, ერთი დაუწერელი პოემა ღვთიურისა და ურთიერთ ზიარებისა, „სვეტიცხოველი“ ამ ზიარების ქვითნაშენი ტანია“ – წერდა გრიგოლ რობაქიძე.

მცხეთა დედაქალაქობის დაკარგვის შემდეგაც სულიერ ცენტრად დარჩა ქართველი კაცისთვის, აქ იჯდა კათალიკოსი იმერ-ამერისა, სვეტიცხოველში ღაღადებდა ლოცვა-კურთხევას უწმინდესი, დედათა მონასტერში გაისმოდა ხმა მავედრებელი, მცხეთის ზარები ამცნობდა ერს ჩვენ სულიერ სიმტკიცეს. ვერანაირმა მტარვალმა ვერ დაადუმა მისი ხმა, რადგან ზედაზენზე იღვწოდნენ „ათორმეტი ძმანი ნეტარხსენებულნი“, რადგან აქაა საფლავი ნანა დედოფლისა, აქვე განისვენებს აბიბოს ნეკრესელი, მარიამ დედოფალი, ანტონ კათალიკოსი, ქეთევან წამებულის ბავშვობაც ხომ აქ ახლოს, მუხრანშია შემორჩენილი.

მცხეთას უმღეროდნენ და უმღერიან მგოსნები, მგალობელნი და მოშაირენი. მცხეთაში იწერებოდა ეპიგრაფიკული ძეგლები, ბილინგვები, ეტრატები. სვეტიცხოვლის, სამთავროს, ზედაზნისა და შიომღვიმის სამონასტრო კერებში ითარგმნებოდა ბერძნული და რომაული აგიოგრაფიული თხზულებანი. მცხეთისათვის უმღერია სიმონ გუგუნავას, გრიგოლ ორბელიანს, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ილია ჭავჭავაძეს. უკვადავ სვეტიცხოველზე ამღერებული პოემა „დიდოსტატის მარჯვენა“ დაუტოვა თაობებს კონსტანტინე გამსახურდიამ, იბერიის საავკენეთს დახაროდა გალაკტიონ ტაბიძის ნაზი ლირიკა, სვეტიცხოველს უგალობდა ქართული პოეზიის დარიალი გიორგი ლეონიძე, მუხათგვერდის ფლატეებიდან შეჰყურებდა არმაზის მსხვრევას ვასილ ბარნოვის შემოქმედებითი ფანტაზია, მცხეთის ქუჩებში უყვარდათ სიარული გრიგოლ რობაქიძეს და მიხეილ ჯავახიშვილს, ტიციან ტაბიძეს და პაოლო იაშვილს, არმაზის ძვალჩასალაგი ხიბლავდა სიმონ ჩიქოვანს, შესანიშნავი ლექსი უძღვნა ირაკლი აბაშიძემ. მცხეთას ესიყვარულებოდნენ: გიორგი ქუჩიშვილი, ალიო მირცხულავა, შალვა აფხაიძე, დავით გაჩეჩილაძე, იოსებ ნონეშვილი და სხვა. არ დარჩენილა საქართველოში თითქმის არც ერთი პოეტი, მწერალი, რომელსაც მცხეთისთვის არ ემღერა.

**აგერ მცხეთა-სავანე გმირთა,**
**დიდი აკლდამა დიდი**
**ცხოვრების,**
**სად პირველ ქართვლის**
**მორჭმულთა შვილთა**
**ღრმად ჩარგეს ძირი**
**თავისუფლების** –

წერდა დიდი ილია.

სამთავროს კურთხეული მიწა დაეყარა გულზე ქართული პროზის რაინდს ლევან გოთუას, მორის ფოცხიშვილს და გოდერძი ჩოხელს. მცხეთას აღმერთებდა უნიჭიერესი პოეტი შოთა ნიშნიანიძე:

**როცა მე გარდავიცვალე იდგა**
**აღდგომის სწორი,**
**ზღაპარში ხარი ატირდა,**
**სახლში შვილი და ცოლი,**
**შემიდგნენ არაგველები**
**თავის**
**მგალობლის ცხედარს,**
**ფარებზე გადამიწვინეს და**
**წამასვენეს მცხეთას.**
**– საით ბიჭებო?!**
**გავძახე, მითხრეს**
**უფლისა ნებით,**
**იქ დიდი საქართველოა,**
**იქ აღარავინ ვკვდებით.**

მცხეთა იყო მწიგნობრობის უქრობელი კერა, შიომღვიმეში იმდენი წიგნი იყო, ცხრა ურემზე ვერ დაეტეოდაო. სვეტიცხოველში ინახებოდა უამრავი იშვიათი ხელნაწერი.

მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისში შეირყა მცხეთის პრიორიტეტი. მეფის რუსეთთან შეერთების შემდეგ ვკარგავთ ავტოკეფალიას, რუსი ეგზარქოსები აღარ კადრულობენ მცხეთაში „მოღვაწეობას“. ევგენი ბაჟენოვისთანა „სულიერ მამებს“ რაში ენაღვლებათ ქართული სულიერება, მისი ისტორია და რწმენა?! მეფისნაცვლის ახლოს ფუსფუსი და პომპეზურობა – აი, მათი უმთავრესი საზრუნავი და ისინიც თბილისში ბინავდებიან, იქიდან მწყემსავენ ღვთისმშობლის წილხვედრს, რათა, რაც შეიძლება „დროულად“ მოუშალონ ქართველთა საპატრიარქოს ქრისტიანული ბუდე. აქ აგროვებენ და აგზავნიან სხვადასხვა მიმართულებით ძვირფას ხატებს, ჯვრებს და ფსალმუნებს, ქართული ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშებს, აქედან იძლეოდნენ ბრძანებებს ქართულ ტაძრებზე უიშვიათესი ფრესკების თეთრად გადაღებვის შესახებ.

მაგრამ ასრულდა ნატვრა, საქართველომ დაიბრუნა დამოუკიდებლობა. სწორედ სვეტიცხოველში გამოცხადდა და საზეიმოდ აღინიშნა (1917 წლის 25 მარტი) ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. განახლდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთა მცხეთაში კურთხევის ტრადიცია, რაც სავსებით ბუნებრივი გახლდათ.

მცხეთა მსოფლიო მემკვიდრეობის სიაშია შეტანილი. ეს ფაქტი საამაყოა, მაგრამ ამავე დროს საპასუხისმგებლოცაა, რადგან ძეგლების მდგომარეობის ყველა ცვლილება საგულდაგულოდ უნდა შემოწმდეს, რომელთა წყალობითაც მოხვდნენ ისინი მსოფლიოს მემკვიდრეობის სიაში.

დღეს მცხეთაში მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები. სვეტიცხოვლის სამხრეთით არსუკიძისა და არსენას ქუჩებზე სახლებმა, გზებმა ახალი სამოსელი ჩამოიცვეს, ქართული ხუროთმოძღვრების მადლით შეიმოსნენ. რესტავრაცია კიდევ რამდენიმე წელი გაგრძელდება უძველესი, უპირველესი ქალაქი ახალი იერ-სახით დამშვენდა.

დგას სვეტიცხოველი მცხეთაში როგორც ქართველი ხალხის შემოქმედების, მისი მდიდარი ფანტაზიის მღაღადებელი, როგორც ხელოვნების, ხუროთმოძღვრების შესანიშნავი ძეგლი და მართლაც, პოეტისა არ იყოს

**საქართველოა**
**რა საქართველო,**
**უსვეტიცხოვლო**
**უგელათო,**
**უალავერდო.**

**მცხეთა ერის უკვდავების საგანძურია, ხოლო მცხეთობა ქართველი ხალხის უკვდავების მქადაგებელი.**

**ვალერიან მამუკელაშვილი**



ინფორმაცია

## პროკურატურა „საქნავთობი-სამგორის“ კანონდარღვევებს შეისწავლის

**საქართველოს კონტროლის პალატამ შპს „საქნავთობი-სამგორში“ კანონდარღვევა აღმოაჩინა. როგორც კონტროლის პალატიდან იტყობინებიან, საქართველოს კონტროლის პალატის თავმჯდომარის – ბრძანებით ჩატარდა სს „თელეთის ნავთობის კომპანიის“ და შპს „საქნავთობი-სამგორის“ გეგმიური აუდიტი.**

**„შპს „საქნავთობი -სამგორის“ აუდიტის შედეგად დადგინდა შემდეგი გარემოებები: აღნიშნულმა საწარმომ 2008 წლის 26 სექტემბერს, მისთვის არახელსაყრელი პირობებით, სახელმწიფო საწარმოს კანონიერი ინტერესების საზიანოდ შპს „რუგე კაპიტალისთვის“ გასცა სესხი 300 000 აშშ დოლარის ოდენობით, კანონმდებლობის მოთხოვნათა უგულებელყოფით, არამიზნობრივად, ყოველგვარი უზრუნველყოფის საშუალებების გარეშე და დაბალი საპროცენტო განაკვეთით. სესხი არ არის დაბრუნებული. შედეგად სახელმწიფოს მიადგა 244 056 აშშ დოლარის ოდენობის ზარალი“, – იტყობინებიან კონტროლის პალატიდან.**



**მათივე ინფორმაციით, საქმე შემდგომი სამართლებრივი რეაგირებისათვის გადაეგზავნა საქართველოს პროკურატურას.**

## ჩხუბი ქართველ და ავღანელ ლტოლვილებს შორის

**ვენის ლტოლვილთა ბანაკში ქართველ და ავღანელ ლტოლვილებს შორის ჩხუბი მოხდა. ინციდენტისას 25 ქართველი დაშავდა, რომლებიც საავადმყოფოში მოათავსეს.**

**ავსტრიაში საქართველოს კონსულის განცხადებით, ამ დროისათვის ქართველების ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.**

**ჩხუბის ფაქტზე გამოძიება უკვე დაიწყო. შესაძლოა, სამართალდამცველებმა ჩხუბის ორგანიზატორები დააკავონ. ქართველ და ავღანელ ლტოლვილებს შორის ეს ჩხუბის უკვე მეორე ფაქტია.**

ჯი-ეიჩ-ენი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს სომხები: კავკასიაში დაძაბულობის ახალი კერა იკვეთება?

**იმ დროს, როდესაც თურქეთი და სომხეთი საერთო საზღვრების გახსნისა და ურთიერთობათა დათბობისთვის ემზადებიან, გაჩნდა შიში, რომ ერევნისა და თბილისის ბოლოდროინდელმა უთანხმოებამ შესაძლოა რეგიონალური დაძაბულობა კიდევ ერთხელ გაამწვავოს.**

სექტემბრის დასაწყისში სომხეთის პრეზიდენტმა სერჟ სარქისიანმა საქართველოში ეთნიკურ სომეხთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად გეგმა დასახა. მან საქართველოში სომხური ძეგლების დაცვისკენ, სომხური სამოციქულო ეკლესიის რეგისტრაციისკენ და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საქართველოში სომხური ენის ოფიციალურ ენად აღიარებისკენ მოუწოდა.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ვიზიტს ერევანში, ივნისში მოყვა ბევრი მოვლენა. საქართველოს სომხებმა პრეზიდენტ სარქისიანს ოფიციალურად მოსთხოვეს პრეზიდენტ სააკაშვილთან დაეყენებინა საკუთარი მოთხოვნები უფრო ფართო კულტურული და პოლიტიკური უფლებების კონტექსტში. პრეზიდენტმა სარქისიანმა, რომელსაც არ უნდოდა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მოკავშირესთან დაპირისპირება იმ დროს, როდესაც „თურქული დათბობა“ ჯერ კიდევ შორეულ პერსპექტივად ჩანდა, ჩუმად უგულებელყო ეს მოთხოვნები. და მართლაც, მან რეალურად შეაქო საქართველოს ლიდერი ჯავახეთში, სამხრეთ საქართველოს რეგიონში, რომელიც ძირითადად ეთნიკური სომხებითაა დასახლებული, სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის გაწეული ძალისხმევის გამო.



წინადადებათა პაკეტი, რომელიც პრეზიდენტმა სარქისიანმა სექტემბერში წამოაყენა, თბილისისთვის სიურპრიზი იყო. საქართველოს ოფიციალურმა პირებმა მათზე აგდებითი რეაგირება მოახდინეს – რეინტეგრაციის მინისტრმა თემურ იაკობაშვილმა აღნიშნა: „ძალიან მიხარია, რომ სომხური ენა ერთადერთი სახელმწიფო ენაა სომხეთში, მაგრამ მას ასეთად საქართველოში არ აღიარებენ“.

ანალიტიკოსებმა ეს ნაბიჯი, დროში დამთხვევის გამო, „თურქულ დათბობას“ დაუკავშირეს. თურქეთ-სომხეთის საზღვრების მოახლოებული გახსნა (თუ ორივე პარლამენტი ამ ნაბიჯის რატიფიცირებას მოახდენს, რაც ჯერ კიდევ დანამდვილებით ცნობილი არ არისძ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს პოზიცია, როგორც სომხეთის ერთადერთი სატრანსპორტო კორიდორისა დასავლეთისკენ, რისკის ქვეშ დგება. თურქეთის ტერიტორიაზე საქონლის დასავლეთით გატანის შესაძლებლობა, შავი ზღვისა და საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროს გამოყენების ნაცვლად, თბილისს სომხეთის სასიცოცხლო ეკონომიკური გზის ფუნქციას აკარგვინებს.

ეს კი სომხეთის პოზიციებს საქართველოსთან დაკავშირებით განამტკიცებს, განსაკუთრებით ჯავახეთის სომხებთან დამოკიდებულებაში. საკითხი წლების მანძილზე მხარეებს შორის დაპირისპირების საგანი იყო. ჯავახეთის სომხები ჩივიან, რომ მათი კულტურული და პოლიტიკური უფლებები თბილისის მიერ უგულებელყოფილია და ხშირად მიმართავენ დახმარებისთვის ერევანს. სომხეთს არ უნდოდა საქართველოს გაღიზიანება, ამიტომ აქამდე წყნარად რეაგირებდა. თბილისი კი, თავის მხრივ, იმას შიშობს, რომ ნებისმიერი მოძრაობა „ავტონომიისკენ“ ჯავახეთს აფხაზეთივით, ან სამხრეთ ოსეთივით, ცენტრალური მთავრობის კონტროლს მიღმა დარჩენილ ახალ მეამბოხე რეგიონად აქცევს. საქართველოს მთავრობამ კარგად იცის, რომ ის ეთნიკური ჯგუფებისგან შემდგარ დანაწევრებულ სივრცეს მართავს და თეორიულად ყველა მათგანი შეიძლება აუჯანყდეს თბილისის მმართველობას.

აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის პარალელი სხვა მიზეზების გამოცაა ჭკუის სასწავლებელი. საქართველო, ალბათ გასაგები მიზეზების გამო, ავტონომიის ნებისმიერ მოთხოვნის მიღმა, რუსეთის ჩარევას ხედავს. 2007 წლამდე რეგიონში დიდი რუსული სამხედრო ბაზა იდგა, ხოლო სომხეთი სამხრეთ კავკასიაში რუსეთის ყველაზე ერთგული მოკავშირეა. ორივე ფაქტორი იმის ეჭვს ბადებს, რომ რუსეთი თავის რეგიონალურ გავლენას ჯავახეთში საქართველოს მთავრობისადმი ოპოზიციის ასაგორებლად იყენებს.

ჯავახეთში საქართველოს წინააღმდეგ უამრავი საპროტესტო გამოსვლა იყო. 2005 წლის აპრილში რამდენიმე ათასმა სომეხმა რუსული ბაზის დახურვის წინააღმდეგ საპროტესტო გამოსვლები მოაწყო. ბაზა, საბჭოთა დანატოვარი, რეგიონს ასე საჭირო სამუშაო ადგილებითა და ეკონომიკური დახმარებით ამარაგებდა.

ე.ი. ქართული მმართველობის წინააღმდეგ პროტესტის უკან მოსკოვი დგას? ეს არ უნდა გამოირიცხოს. საქართველო ხანდახან ადგილობრივ სომეხ აქტივისტებს აპატიმრებდა, მათ უცხო ქვეყნის, ალბათ რუსეთის სასარგებლოდ, სეპარატიზმის გაღვივებაში სდებდა ბრალს, თუმცა ეს შეიძლება შეთითხნილი ბრალდებებიც ყოფილიყო. საქართველოს შეუძლია ასევე ავტონომიის და რეგიონის სოციალური და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ყოველი მოთხოვნა, როგორც „რუსული შეთქმულება“, უგულებელყოს.

გაურკვეველია, შეეცდება თუ არა სომხეთის ხელისუფლება რუსეთის სასარგებლოდ საქართველოს პროვოცირებას. ერევანს ახლა რაც შეიძლება მეტი მეგობარი სჭირდება, მით უფრო, რომ მისი ცივი ომი აზერბაიჯანთან გრძელდება და ამიტომ ის აქტიურად არ დაუწყებს საქართველოს პროვოცირებას. საქართველოს ტერიტორია რუსეთისკენ მიმავალ ყველაზე მოკლე გზად რჩება, განსაკუთრებით უმნიშვნელოვანესი გაზსადენისთვის, რომელიც კიდევ წლების მანძილზე იქნება საჭირო მანამ, სანამ სომხეთის ენერგეტიკულ საჭიროებებს თურქეთი და ირანი არ დააკმაყოფილებენ.

რეალურად სომხეთის მიერ საქართველოს კრიტიკა საშინაო საქმეებით აიხსნება. სომხეთის დიასპორა პრეზიდენტ სარქისიანს სულ უფრო მეტად აღიქვამს „მოღალატედ“ თურქეთთან ურთიერთობათა გამოსწორების გამო და ამიტომ მას სასწრაფოდ სჭირდება მისი, როგორც სომეხი პატრიოტის, რეპუტაციის განმტკიცება.

როგორ მოხერხდეს ეს ყველაზე იოლად, თუ არა დაბალი რისკის შემცველი მოქმედებით – საქართველოს კრიტიკით? წინადადებათა პაკეტი, რომელიც მან შესთავაზა, არ შეიცავს რეგიონის ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების რეკომენდაციებს, რაც ყველაზე გადაუდებელი პრიორიტეტია. წინადადება კულტურული ხასიათისაა – ეკლესია, ისტორია, ენა, ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანია სომხური იდენტობისთვის. ჯავახეთს სომეხი ნაციონალისტები „დიდი სომხეთის“ ნაწილად მიიჩნევენ და სჯერათ, რომ ის ერთიან ქვეყანაში უნდა შევიდეს. ასე რომ, სომხური იდენტობის მხარდაჭერა ამ რეგიონში თურქეთთან მშვიდობის კომპენსაციად მოსჩანს.

მაგრამ ჯავახეთის საკითხი მაინც დაძაბულია. სომხური იდენტობისთვის ის მაშინ კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, როდესაც ისტორიული შუღლი თურქეთისადმი ჩაცხრობას იწყებს. ის შეიძლება სომეხი ნაციონალისტებისთვის მეხამრიდად იქცეს, საქართველოსგან კონტრ-რეაქციის პროვოცირება მოახდინოს და კავკასიაში ახალი ფეთქებადი წერტილი შექმნას.

**ალექსანდრე ჯექსონი**

## დედამიწის ზურგზე



**ობამამ ნება მისცა, ავღანეთში გაიგზავნოს დამატებითი ძალები**

მიმდინარე წლის მარტში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი იტყობინებოდა, რომ გათვალისწინებული აქვს გაგზავნოს ავღანეთში დამატებითი ძალები 21 ათასი სამხედრო მოსამსახურის ოდენობით. მაგრამ ამჟამად თეთრი სახლი მოულოდნელად დათანხმდა, გაიგზავნოს ამ ქვეყანაში კიდევ 13 ათასი სამხედრო. ამრიგად, მთლიანად ამერიკის კონტინგენტი ავღანეთში გაძლიერდება 34 ათასი კაცით.

* * *



**აშშ-თან შესაძლო მოლაპარაკების წინ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკიდან ელოდებიან რაკეტების ახალ გაშვებას**

ორშაბათს ჩრდილოეთმა კორეამ მცირე სიშორის ხუთი რაკეტა გაუშვა: გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციით ეს აკრძალულია. სეულში არის აზრი, რომ სინამდვილეში ეს იყო ბალისტიკური რაკეტები და ფხენიანმა მაინც დაარღვია აკრძალვა.

* * *

**კორსიკის სანაპიროზე წყალში ჩავარდა თვითმფრინავი: მასში მყოფი 6 კაცი გადაარჩინეს**

პირველი მონაცემების თანახმად, ტურისტული თვითმფრინავის კატასტროფა გამოიწვია ძრავის დაზიანებამ. გამოცდილი პილოტი შეეცადა თვითმფრინავის დასმას წყლის ზედაპირზე ხმელთაშუა ზღვაში. ხალხმა მოასწრო თვითმფრინავის დატოვება სამაშველო ჟილეტების წყალობით.

* * *

**ფინეთის სასამართლო გამოუტანს განაჩენს რუსეთელ რიმა სალონენს, რომელსაც ბრალად ედება შვილის გატაცება**

ფინეთში მიიჩნევენ, რომ განაჩენი რიმა სალონენისთვის არ იქნება ძალიან მკაცრი: პროკურორმა მისთვის მოითხოვა პირობითი სასჯელი. ასეთი სამართალდარღვევისთვის მაქსიმალური დასჯა აქ თავისუფლების ორი წლით აღკვეთაა, მაგრამ შესაძლებელია პირობითი სასჯელის ან ჯარიმის დაწესება.

* * *

**პერუში დაიმსხვრა სამგზავრო ავტობუსი: დაიღუპა 14 კაცი**



30-ზე მეტი კაცი დაზიანდა. მაშველებს რამდენიმე საათი დასჭირდათ, რათა დახმარება აღმოეჩინათ ცოცხლად დარჩენილებისთვის, რომ გამოეყვანათ ისინი დაზიანებული ავტობუსიდან. კატასტროფა მოხდა, როცა მანქანა სრული სისწრაფით გამოვარდა ქუჩიდან და გადაბრუნდა.

* * *

**ირლანდიაში დაიმსხვრა სასწავლო-საბრძოლო თვითმფრინავი: ორი მფრინავი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება**

თვითმფრინავი, რომლის ბორტზეც იმყოფებოდნენ ინსტრუქტორი და კადეტი, აწარმოებდა სასწავლო ფრენას სამი საბრძოლო მანქანისგან შემდგარ ესკადრილიაში. უცნობი მიზეზების გამო მან დაკარგა სიმაღლე და მოემზადა ავარიული დაჯდომისთვის მანამ, სანამ ქალაქ კონემარის მახლობლად მიწაში ჩაერჭობოდა.

* * *



**ლიბანის სამხრეთში აფეთქდა მოძრაობა „ხესბოლახის“ საბრძოლო იარაღის საწყობი: არიან დაღუპულები და დაჭრილები**

საწყობი ისრაელის საზღვრიდან 6 კილომეტრში იმყოფება. გაეროს მშვიდობისმყოფელები ჩავიდნენ ადგილზე და აწარმოებენ გამოკვლევას. ლიბანელი სამხედროების ცნობით, იარაღის მარაგი განეკუთვნება ისრაელთან უკანასკნელი კონფლიქტის პერიოდს.

* * *

**პრემიერი ბრაუნი ხაზინაში დააბრუნებს 12 ათას გირვანქა სტერლინგს, რომელიც დაიხარჯა დასუფთავებისა და დარეცხვისთვის**

სკანდალი დიდ ბრიტანეთში, როგორც ჩანს, დასასრულს უახლოვდება. გორდონ ბრაუნი და ასობით პარლამენტარი აბრუნებს ფულს, ვინაიდან დამოუკიდებელმა აუდიტორმა ასეთი კომპენსაციები მიიჩნია დაუსაბუთებლად. ბრაუნი 2004 წლიდან ღებულობდა სახსრებს მის მიერ გაწეული ხარჯებისთვის, რაც ხმარდებოდა სასამსახურო ბინის დასუფთავებას, რეცხვასა და ბაღის მოვლას.



ახალი ჟურნალი

# ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი

**გამოვიდა თავდაცვის სამინისტროს ჟურნალ „სამხედროს“ სექტემბრის ნომერი. გარეკანის პირველივე გვერდს შავ-შინდისფერ ფერებში გადაწყვეტილი საინტერესო დიზაინი გამოარჩევს. ჟურნალის მიზანია სამხედრო ცოდნით შეიარაღებული ძალების მომზადება, რაც უკვე გახმიანდა თავდაცვის ახალი მინისტრის გამოსვლაში: „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უწყვეტ და ნათელ მიზანს სამი პრიორიტეტი წარმოადგენს: მოდერნიზაცია, მშვიდობა, ნატოში ინტეგრაცია“. ჟურნალშიც ყურადღება გამახვილებულია საქართველოს შეიარაღებული ძალების გაძლიერებასა და მის პროფესიულ განვითარებაზე დასავლური სტანდარტების შესაბამისად.**




„სამხედროს“ ახალ ნომერს ამშვენებს ქართული შეიარაღებული ძალების მხატვრული ფოტოები და დიდ ადამიანთა გამონათქვამები. მაგალითად, იულიუს კეისრის, ვოლტერის, სუნ ძუს, ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, შოთა რუსთაველის.

ჟურნალის სარედაქციო წერილი: „არავის ვეყმოთ, არც ვემონოთ, გარეშე ღვთისა დამბადებლისა“ საქართველო-რუსეთის ომის წლისთავის გამო აღძრულ ფიქრებზეა: „...ჩვენ არ მივდივართ რუსეთის დასაპყრობად, რუსი მოდის აქ საქართველოს დასაშლელად და თავი უნდა დაიცვა კაცმა...

ყველაზე მეტხანს, მთელი სამასი წელიწადი ისხდნენ არაბები თბილისში. ბოლოს, მაინც მოუწიათ წასვლა თავიანთ უდაბნოებში...

რუსები 226 წელია აქ არიან და ისინიც წავლენ...“ ეს სულისკვეთება — ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი გასდევს ჟურნალის ახალ ნომერს.

რუბრიკით „226-წლიანი ბრძოლა გრძელდება“ წარმოდგენილია აგვისტოს ომის ამსახველი მასალები, რომელსაც წინ უძღვის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორეს ტროპარი ჯვრისა და ლოცვა ერისა და მამულისა.

ცხინვალელი ძმების გიორგი და გელა რომელაშვილების გმირობის სევდიან ისტორიაზე მოგვითხრობს მიხო მოსულიშვილის ნარკვევი; ჟურნალისტი გიორგი თუხარელი იხსენებს ერთი წლის წინანდელი ომის სურათს და ქართულ სოფლებში შექმნილ ვითარებას.

აგვისტოს ომის დროს სერჟანტებმა ნანა ცხადაძემ და ნანა ბასლანძემ ცხინვალში უამრავი დაჭრილი გადაარჩინეს. ისინი თავადაც დაიჭრნენ, მაგრამ ახლა ორივენი სამხედრო სამსახურს განაგრძობენ. „ორი ნანა აგვისტოს ომში“ ასე ჰქვია ზურაბ ოდილავაძის ამ წერილს.

ჟურნალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოში ჯო ბაიდენის ვიზიტს, რამაც ამერიკის შეერთებული შტატების მხარდაჭერა საქართველოსადმი კიდევ უფრო გაამყარა. აქვე წარმოდგენილია ინტერვიუ ნატოს საინფორმაციო ცენტრის საქმიანობაზე და ანალიტიკური წერილი: „ნატოს წვრთნები საქართველოში“.

მამა დავით ლონდარიძე მიუძღვნა არაბულს ესაუბრება ქართული ჯარისა და ეკლესიის ერთიანობაზე.

საინტერესო მასალებია წარმოდგენილი რუბრიკით: „ბრძოლები და მხედართმთავრები“, „პარტიზანული ბრძოლა: სტრატეგია და ტაქტიკა“, „ინოვაცია და ტექნოლოგიები“.

ჟურნალში გამოქვეყნებულია ზაალ სამადაშვილის მოთხრობა „კუნდერა, 1968“, რომლის გმირი ამჟამად საფრანგეთში მცხოვრები მწერალი მილან კუნდერაა. კუნდერა, თავის დროზე, რომანით გამოეხმაურა საბჭოთა საოკუპაციო ჯარის შესვლას ჩეხოსლოვაკიაში 1968 წლის 21 აგვისტოს.

ფოტოჟურნალისტ რობერტ კაპას ცხოვრებაზე მოგვითხრობს ნინა შლამოვას „რობერტ კაპა — ომის ფოტოგრაფი“. აქვე გაეცნობით ილია კობერიძის „ჰოლივუდი აგვისტოს ომზე“, ანა ალანიას რეპორტაჟს ზაზა კოლელიშვილის ახალ ფილმზე „ომი და ქორწილი — memento mori“... და სხვა საინტერესო მასალებს...

**ლაშა არზიანი**

# განცხადება კონკურსის გამოცხადების თაობაზე

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) – სოფლის მეურნეობის ბიოტექნოლოგიის ცენტრი აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა თანამდებობების დასაკავებლად;

ა) ახალი არატრადიციული ტექნოლოგიების შექმნისა და გამოყენების განყოფილების უფროსი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

ბ) მცენარეებზე გარეშე სტრესული ზემოქმედების მექანიზმებისა და ტოლერანტობის შემსწავლელი განყოფილების უფროსი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

გ) მცენარეთა დაავადებათა ექსპრესდიაგნოსტიკური საშუალებების შექმნისა და გამოყენების განყოფილების უფროსი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

დ) ბუნებრივი და სინთეზური სტიმულატორების შექმნის, შესწავლისა და გამოყენების განყოფილების გამგე/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი;

ე) ფერმერებისათვის ახალი, მარტივი, მცირე ღირებულების მქონე ტექნიკო-ეკოლოგიური ხელსაწყოების შექმნისა და გამოყენების განყოფილების გამგე/მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

2. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) კალენდარული ავტობიოგრაფია (CV);

გ) დასაკავებელი თანამდებობის შესაბამისი აკადემიური, ან მასთან გათანაბრებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

დ) გამოქვეყნებული, მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში, სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი;

ე) ერთი სამეცნიერო ნაშრომის/სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;

ვ) შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა (საკვლევი პრობლემები, მოსალოდნელი შედეგები, საჭირო რესურსები და ა.შ.);

ზ) შესაბამისი დარგის 3 მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ განმცხადებელს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ფაქსი, ელექტრონული ფოსტა, მისამართი) (სასურველია);

თ) სამეცნიერო გრანტების ჩამონათვალი (სასურველია);

ი) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი (სასურველია);

3. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კონკურსანტის შერჩევისას გათვალისწინებული იქნება შემდეგი კრიტერიუმები:

ა) გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა და ხარისხი (განსაკუთრებით ბოლო 5 წლის განმავლობაში);

ბ) პატენტები;

გ) მონაწილეობა სამეცნიერო სიმპოზიუმებში, კონფერენციებში;

დ) მონაწილეობა საგრანტო, მათ შორის, საერთაშორისო თემატიკაში;

ე) სტრუქტურული ერთეულის განვითარების სტრატეგიული ხედვა;

4. საკონკურსო კომისიის დასკვნის საფუძველზე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ნიშნავს წარდგენილ კანდიდატს შესაბამის თანამდებობაზე და აფორმებს მასთან შრომით ხელშეკრულებას არა უმეტეს 3 წლის ვადით.

5. საბუთების მიღება იწარმოებს სოფლის მეურნეობის ბიოტექნოლოგიის ცენტრში (სსიპ). მისამართი: **ჭავჭავაძის პრ. 82.**

6. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საბუთების მიღების ვადაა 2009 წლის **14 ნოემბერი.**

7. კონკურსის შედეგები გამოცხადდება **2009 წლის 19 ნოემბერს.**

8 დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:

**web:http:Biotechnology-ge.narod.ru**
**E-mail:Biotechnology-ge@mail.ru**
**ტელ: 22 05 47; 899 51 54 39**

**პასუხისმგებელი პირი რუსუდან ჯიქია**

# დაიჯესტი

## ჰიროშის ოჩაგანოში!

**ძვირადღირებული პრეპარატებიც კი ყოველთვის როდი გვეხმარება. საქმე სულაც არაა ის, რომ შეიძინეთ რაიმე ყალბი ან მას უკვე გაუვიდა ვადა.**

**აბის გადაყლაპვა — საქმის ნახევარია. მთავარია, რომ სამკურნალო საშუალება კი არ დაინგრეს გზაში, ან ჩაილექოს სხვა ორგანოებსა და ქსოვილებში, არამედ მივიდეს ზუსტად დაავადების კერაში. მაგრამ პრეპარატები, რომლებსაც ვყლაპავთ, ქიმიური თავისებურებების კვალობაზე, ხშირად იხსნება და იწოვება არა იქ, სადაც საჭიროა, არამედ იქ, სადაც ამისთვის სათანადო პირობები არ არსებობს.**

**წამლისთვის ახალი „ტრანსპორტის“ შექმნაზე მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდნენ ავტორიტეტული მეცნიერები მთელ მსოფლიოში. სამეცნიერო თვალსაზრისით ამოცანა გადაუწყვეტლად გამოიყურებოდა. პოლიმერების ჯგუფები, რომლებსაც შეეძლოთ შეექმნათ კომპლექსი მედიკამენტების გადასაგზავნად ზუსტად დაავადებულ ადგილას, არსებობდნენ. მაგრამ მათი ერთ მთლიანობაში გარდაქმნა არავის შეეძლო.**

**ყაზანის მედიცინის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარმაცევტული ფაკულტეტის დეკანმა, ფარმაცევტული მეცნიერების კანდიდატმა რუსლან მუსტაფინმა შექმნა ის, რაც არ შეიძლებოდა ყოფილიყო. მის მიერ შექმნილი სამკურნალო შემცველი არა მხოლოდ იძლევა საშუალებას მივიტანოთ მედიკამენტი დანიშნულების ადგილზე ზუსტად დანიშნულ მომენტში და დაპროგრამებული სიჩქარით, არამედ გავაკონტროლოთ პრეპარატის გამოთავისუფლებისა და შეწოვის პროცესიც. ასეთი შემცველების ბაზაზე შეიძლება შეიქმნას ზეეფექტიანი პრეპარატები, რომლებსაც პრაქტიკულად არ გააჩნიათ თანამდევი ეფექტები.**



**— ახალი პრეპარატის კიდევ ერთი ღირსებაა ის, რომ იგი შეიქმნა პოლიმერიული შენაერთების ბაზაზე, რომლებიც გამოიყენება ფარმაცევტულ ტექნოლოგიაში 30-ზე მეტი წელია. მათი უვნებლობა დიდი ხანია დადასტურებულია ერთმნიშვნელოვნად, — ამბობს მუსტაფინი.**

**პრესტიჟულ სამეცნიერო ჟურნალში რუსლან მუსტაფინის აღმოჩენის შესახებ გამოქვეყნებულმა პუბლიკაციამ ნამდვილი ფურორი მოახდინა სამეცნიერო სამყაროში. თავდაპირველად მას არც დაუჯერეს და მიიწვიეს ბელგიაში — რათა მოეხდინა პრეპარატის სინთეზი უცხო მოწყობილობაზე. შედეგები დადებითი იყო. და მაშინ ამერიკის შეერთებული შტატების პროფესორმა ჯეიმს მაკჰინდიმ, რომელიც აღიარებული ავტორიტეტია პოლიმერული ქიმიის დარგში, ოფიციალურად გამოაცხადა ყაზანელი პროფესორი პიონერად სამკურნალო ნივთიერებათა შემცველების დარგში. დასავლელი კოლეგები დღემდე გაოცებული არიან: როგორ შეიძლებოდა სენსაციური აღმოჩენა პროვინციულ უნივერსიტეტში, მოძველებულ მოწყობილობაზე, დაფინანსების სრული უქონლობის პირობებში? თავად მუსტაფინი დარწმუნებულია: „მეცნიერება წინ მიჰყავთ ენთუზიასტებს, ვისთვისაც ეს ჰობია, და არა მხოლოდ ფულის გამომუშავებას“.**

**მეცნიერების აღმოჩენის შესახებ უცხოეთში მეტი რამ იცოდნენ, ვიდრე თავად რუსეთში.**

**წელს — თუმცა დიდი დაგვიანებით — მისმა სამშობლომაც გაიცნო თავისი გმირი. რუსლან მუსტაფინი დააჯილდოვეს ქვეყნის უმაღლესი სამედიცინო ჯილდოთი — პროფესიული პრემიით „აღიარება“ ნომინაციაში „ფუნდამენტური მეცნიერებისა და არასამედიცინო პროფესიების წარმომადგენლების მიერ მედიცინის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის“.**

## ღორის გრიპი მენინგიტზე საშიშია?

**რუსეთის ერთ-ერთ სკოლაში კარანტინი გამოაცხადეს — ერთ-ერთ მოსწავლეს ღორის გრიპი აღმოაჩნდა. სხვა რაიონში 93 ბავშვი სკოლაში მენინგიტით დაავადდა. ვის აწუხებს ეს! არ მესმის — ნუთუ ღორის გრიპი მენინგიტზე საშიშია? იქნებ მენინგიტზე ფულს ვერ გამოიმუშავებ?**

**გ.გაბაშვილი, ძარელი**



***გვიპასუხებს საბავშვო ინფექციურ დაავადებათა ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ვ.გავაშელი:***

**— სერიოზული მენინგიტი — უფრო მძიმე და სახიფათო დაავადებაა, ვიდრე ღორის გრიპი. სხვა საქმეა, რომ ამ დაავადებებს გადაცემის სხვადასხვა გზები აქვთ. ღორის გრიპის გავრცელება შეიძლება შევადაროთ ხანძარს ველად — ვირუსი გადაეცემა საჰაერო-წვეთოვანი გზით, დაავადებული ასნებოვნებს ყველას თავის გზაზე. სერიოზული მენინგიტი (სკოლებში კი, როგორც წესი, ის ბატონობს) გადაეცემა უმეტესად ბინძური ხელებით და მას ხანგრძლივი საინკუბაციო პერიოდი აქვს — 21 დღე.**

**ზოგჯერ კარანტინის გამოცხადება უაზროა — იმ დროისთვის, როდესაც ავადმყოფობას არეგისტრირებენ პირველ დაავადებულებთან, მათ უკვე დაასნებოვნეს ყველა, ვინც შეიძლებოდა.**

◎ მხარე

## ზვიად სიჭინავა: ფეხბურთის სიყვარული ყველაფერს შემაძლებინებს!..

**ზუგდიდის საფეხბურთო კლუბ „ბაიას“ ყოფილი პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა ამჯერად მშობლიურ ქალაქს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის რანგში მოევლინა. მას ზუგდიდის, სამეგრელოს ფეხბურთის მესვეურნი და გულშემატკივრები შეხვდნენ.**



ზვიად სიჭინავამ დამსწრეთ აუწყა, რომ ის „ბაიას“ თავს ანებებს, რადგან ამჟამინდელი თანამდებობა „ბაიასთან“ ახლო დგომის უფლებას არ აძლევს და უფრო მნიშვნელოვანი საქმეების გაკეთებას აპირებს, როგორიცაა ქართულ ფეხბურთში ქუთაისის „ტორპედოს“, ბათუმის „დინამოს“, ლანჩხუთის „გურიისა“ და ფოთის „კოლხეთის“ დაბრუნება. მისი თქმით, ახალი წლიდან ფეხბურთის ფედერაციაში იმუშავებს ახალი სტრუქტურა-საარბიტრაჟო სასამართლო, რომელიც გაარჩევს ყველა სადავო საკითხს.

საქართველოს ეროვნულ ნაკრებზე მას შემდეგ იზრუნებს სფფ პრეზიდენტი, როდესაც კუპერს ამოეწურება კონტრაქტის ვადა. „ეს იქნება წლეულს დეკემბრის ბოლოს. უპირველესად, მას უნდა მიეცეს ის თანხა, რომელიც გასასტუმრებელია, თორემ, იგივე დაგვემართება, რაც მოხდა ტოპმიოლერთან დაკავშირებით, – მან მოიგო სასამართლო პროცესი და მისთვის 700.000 ევროა მისაცემი“, – თქვა ზვიად სიჭინავამ.

ფეხბურთის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი ირწმუნება, რომ ყველაფერს გააკეთებს ქართული ფეხბურთის ასაღორძინებლად, მაყურებლების სტადიონებისკენ მოსაბრუნებლად. ის ივლის ყველგან: დასავლეთში, აღმოსავლეთში და თვეში ერთხელ შეხვდება ფეხბურთის სპეციალისტებს, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ ფეხბურთი არ იცის, მაგრამ ძალიან უყვარს და ეს სიყვარული ყველაფერს შეაძლებინებს.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდი.**

◎ „სტუდენტური ლიგა – 2009“

## უძლიერესთა კვარტეტი



**სპორტკომპლექსი „ქარიშხალა“ მასპინძლობს „სტუდენტურ ლიგა – 2009“-ს ფუტსალში, რომლის ორგანიზატორები არიან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი, საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია და ფუტსალის ეროვნული ასოციაცია.**

რვა უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენელთა ჯგუფურმა ტურნირმა გამოავლინა ნახევარფინალისტები, რომლებიც 19 ოქტომბერს ასეთი თანმიმდევრობით შეხვდებიან ერთმანეთს.

**17 საათი.** ჭავჭავაძე – სამედიცინო.

**18 საათი.** თსუ – აგრარული.

**ფინალური მატჩი 20 ოქტომბერს 16 საათზე დაიწყება, ხოლო მანამდე – 15 საათზე მესამეადგილოსანი გაირკვევა.**

◎ მძლეოსნობა

## „სპორტის დედოფლის“ საშემოდგომო მეჯლისი

**ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე საქართველოს მძლეოსანთა საშემოდგომო ჩემპიონატი გაიმართა, რომელშიც 19 ქალაქისა და რაიონის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. შესანიშნავად იასპარეზა ალვანელმა სამხტომელმა ლაშა ღულელაურმა, რომელმაც ახალგაზრდებში საქართველოს რეკორდი ზედიზედ სამჯერ (15,28; 15,33; 15,42 მ) გააუმჯობესა. სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა 14 წლის ქუთაისელმა მორბენალმა სალომე სირაძემ, რომელმაც 100 და 200 მეტრზე რბენაში გაიმარჯვა, თან 100 მეტრი 12,8 წამში დაფარა, რაც ამ ასაკისთვის ურიგო შედეგი არ არის.**

**გაუწყებთ დანარჩენ დისციპლინებში გამარჯვებულთა ვინაობას: ქალები.** გაიანე უსტიანი (400 და 800 მ.), ნათია გიგაური (შუბი), **ვაჟები.** დავით ილარიანი (100 და 110 მ. თარჯრბენი), ენდრიკ ზილბერშტეინი (200 და 400 მ.), ანდრანიკ მატინიანი (800 და 1500 მ.), გიგლა ზილბერშტეინი (3000 მ.), ჯეირან ხოფერია (5000 მ), ლაშა ღულელაური (სიგრძეზე ხტომა და სამხტომი), ზენიკ აბრამიანი (ბირთვი), გიორგი ბედოშვილი (ბადრო), სერგო გორგოძე (შუბი). გუნდურ ჩათვლაში თბილისელებმა (I ჯგუფი) და ახმეტელებმა (II ჯგუფი) იმარჯვეს.





საქართველოს მძლეოსნობის ფედერაციამ გამოავლინა წლის საუკეთესო სპორტსმენები მწვრთნელებითურთ – მარიამ ქევხიშვილი (მწვრთნელი ყარამან საბანაშვილი) და დავით ილარიანი (მწვრთნელი ირაკლი გოზალიშვილი). ოთხივენი 500-500 ლარით დაჯილდოვდნენ.

**ლექსო ცინცაძე**

**სურათებზე: სალომე სირაძე; ლაშა ღულელაური.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

◎ ჭიდაობა

## გალავანში – საფალავნოდ

**მცხეთის რაიონის სოფელ გალავანში მრავალი სახელოვანი სპორტსმენი აღიზარდა. მათ შორის სამბოში მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები – არჩილ ჩოხელი და ჯონდო მუზაშვილი, საქართველოს ფალავანი აბესალომ წიკლაური და მისი ძმა – არჩილ წიკლაური, ძიუდოში თბილისის საერთაშორისო ტურნირისა და საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების პირველობის გამარჯვებული, რომელიც ნაადრევად გამოაკლდა ოჯახს.** სოფლის ვეტერან მოჭიდავეთა ინიციატივითა და მცხეთის გამგეობის, სამხარეო ადმინისტრაციისა და ქართული ჭიდაობის ფედერაციის მხარდაჭერით გალავანში არჩილ წიკლაურის ხსოვნის ტურნირი გაიმართა, რომელშიც ახლომდებარე სოფლებისა და რაიონების ფალავნებმა გამოსცადეს მკლავისა და მუხლის ძალა. გულშემატკივრები ყმაწვილთა ეფექტურმა ჭიდაობამ მოხიბლა. განსაკუთრებით 12 წლის ნავდარაანთკარელი გიგი ჩანადირი (30 კგ.) მოეწონათ, რომელმაც პრიზად ყოჩიც დაიმსახურა. დანარჩენ წონით კატეგორიებში პირველ ადგილებზე გავიდნენ: თორნიკე ნაგლიაშვილი (გალავანი), გიორგი თანდაშვილი (დუშეთი), ლევან ბერბერაშვილი (თიანეთი), ლაშა ჩანადირი (გალავანი), ჯუმბერ ჩიხიშვილი (წეროვანი), შმაგი ყაჭიური (დუშეთი), თემურ ოქრუაშვილი (წილკანი), მამუკა მაზმიშვილი (ქარელი), გიორგი ბიჩელაშვილი (თიანეთი) და გიორგი ცოციაშვილი (წილკანი).



გამარჯვებულები და პრიზიორები მცხეთა-მთიანეთის მხარეში პრეზიდენტის რწმუნებულის პირველმა მოადგილემ გივი ამირხანაშვილმა, ამავე რეგიონის ძიუდოს ფედერაციის თავკაცმა თემურ ცოფურაშვილმა და ქართული ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტმა უშანგი ყურაშვილმა დააჯილდოვეს.

**გიორგი გაგუა.**

**სურათზე: ნორჩი ფალავანი გიგი ჩანადირი უშანგი ყურაშვილმა დააჯილდოვა.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**

◎ წყალბურთი

## „ლაგუნა ვერემ“ უმასპინძლა

**სპორტკომპლექს „ლაგუნა ვერეს“ აუზში გასულ უქმეებზე საინტერესო შეჯიბრებები გაიმართა წყალბურთში. საქართველოს ნაკრები (მწვრთნელი ვლადიმერ ისელიძე), რომელიც მთლიანად ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის სპორტკლუბ „ლიგამუსის“ წევრებით იყო დაკომპლექტებული, აზერბაიჯანის ეროვნულ ნაკრებს შეხვდა. ქართველმა წყალბურთელებმა ამხანაგური შეხვედრა არამეგობრული ანგარიშით (28:5) მოიგეს.**

უფრო საინტერესო გამოდგა „ლაგუნა ვერეს“ დირექტორის ვლადიმერ გოიაშვილისა და ყოფილი საბჭოეთის ჩემპიონის ზურაბ ჩაჩავას ინიციატივით ორგანიზებული ვლადიმერ ბარნაბიშვილისა და როსტომ ჩაჩავას ხსოვნის ტურნირი მინიწყალბურთში. შეჯიბრებაში 11-16 წლის სპორტსმენები მონაწილეობდნენ.

**გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას ასაკების მიხედვით:**

**1997-1998 წლებში დაბადებულნი:** 1. „ლიგამუსი“, 2. „ლაგუნა ვერე“, 3. ასკ.

**1995-1996 წლებში დაბადებულნი:** 1. „ივერია“, 2. „ლიგამუსი“, 3. „ლაგუნა ვერა“. 1993-1994 წლებში დაბადებულთა შორისაც საპრიზო ადგილები მსგავსი თანმიმდევრულობით განაწილდა.

**სურათებზე: შეხვედრის მომენტი; ვლადიმერ გოიაშვილი აჯილდოვებს გამარჯვებულებს.**

**ვაჟა დანელიას ფოტო.**





◎ ინტერნეტიდან

### მარადონა აატირეს



**მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ნაწილზე საგზურის მოპოვება ადვილი როდია. მისთვის ბრძოლა საჭიროა არა მხოლოდ მეტოქეებთან, არამედ ხულიგნებთანაც.**

ასე დაემართა, მაგალითად, არგენტინის ნაკრებს, პერუს ნაკრების დამარცხებით (2:1) სამხრეთ აფრიკაში მოხვედრის შანსები რომ შეინარჩუნა. თუმცა დამარცხებულთა ქომაგებმა სამაგიეროს გადახდა მოინდომეს არგენტინის ნაკრების მთავარი მწვრთნელისთვის – დიეგო მარადონასთვის, ხულიგნებმა გატეხეს მისი ოფიციალური საიტი, მთავარ ფურცელზე ჩაწერეს „ჩვენ გაიძულებთ, ატირდე!“, მის ქვეშ კი ატირებული მარადონას ფოტოსურათი მოათავსეს. პერუული მუსიკის ფონზე კი გაისმის: „ეძლვნება მსოფლიოში ყველა დროის ყველაზე დიდ მტირალას – თქვენ ფეხბურთში დაგვამარცხეთ, მაგრამ ჩვენ საუკეთესონი ვართ!“ ყოველივე ეს კი მთავრდება ლოზუნგით „გაუმარჯოს პერუს“!

### მხცოვანთა დიდი ზეიმი

**დაახლოებით 28 ათასი ხანდაზმული ადამიანი, მათგან ბევრი 70 წელს გადაცილებული, ჩავიდა ავსტრალიაში, რათა მონაწილეობა მიეღოთ სპორტულ შეჯიბრებებში სახელწოდებით** World Masters Games. შეჯიბრება 28 სახეობაში გაიმართება. ზოგი გარბენებში მიიღებს მონაწილეობას, ზოგი სხვადასხვა იარაღის ტყორცნაში და ა. შ. მაგალითად, ავსტრალიელმა ქალბატონმა რუთ ფრიტმა, უკვე 100 წელს რომ გადააბიჯა, ბირთვი ტყორცნა 4,07 მეტრზე. ასეთი მაჩვენებელი ბევრია, ისლა დაგვრჩენია, პაპებსა და ბებიებს ვუსურვოთ ჯანმრთელობა, დიდხანს სიცოცხლე და სპორტული წარმატებები.



№ 209. ოთხშაბათი, 14 ოქტომბერი, 2009 წელი.

◉ მემორიალი

# დადიანის სახელობისა

**ახალი საკლუბო სეზონის პირველი ოფიციალური ტურნირი – დუდუ დადიანის მერვე მემორიალი ხვალ იწყება რუსთავში.**

შეგახსენებთ, რომ უწინ აღნიშნული ასპარეზობა სამჯერ მოიგო „ენერჯი ინვესტმა", ორჯერ – სტუ ჯეოსელმა და თითოჯერ – „ავიამშენმა" და თბილისის „დინამომ".



ამჯერად **„ა" ჯგუფში** ითამაშებენ სსსუ, თსუ, „მაქაბი" და ჭიათურა, ხოლო **„ბ" ჯგუფში** რუსთავი, „დინამო", შსს და სოხუმი განაწილდნენ.

**გაუწყებთ სასტარტო მატჩების კალენდარს:**

12:00. თსუ – „მაქაბი".
14:00. სსსუ – ჭიათურა.
16:00. „დინამო" – შსს.
18:00. რუსთავი – „დინამო".

**ფინალური მატჩი 19 ოქტომბერს 16 საათზე დაიწყება.**

◉ მუნდიალ-2010

## ვიზა გულშემატკივრებისთვის

**სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა „სიახლეს" ამზადებს – უნივერსალურ ვიზებს ფეხბურთში 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გულშემატკივართათვის.** ის მისცემს ჩემპიონატზე ჩასულ გულშემატკივრებს რეგიონის სხვა ქვეყნების მონახულების საშუალებას. ამაზე განაცხადა ამ ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა ქალბატონმა ნკოსაზანა დლამინ ზუმამ. თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებისთვის საჭიროა სამხრეთის განვითარებისთვის ქვეყნების თანამეგობრობაში შემავალი 25 ქვეყანასთან შეთანხმება, მათ კი ადრევე წამოაყენეს ჩემპიონატის დროს ერთიანი ვიზის შემოღების საკითხი. სპორტსმენებისთვის, ჩინოვნიკებისა და მომსახურე პერსონალისთვის, ალბათ ფეხბურთის დღესასწაულზე ჩავა დაახლოებით ნახევარი მილიონი უცხოელი ტურისტი, ისინი საპასპორტო კონტროლს გაივლიან აფრიკის აეროპორტებში, რაც განტვირთავს სამხრეთ აფრიკის შესაბამის სამსახურებს.



## ყველაზე სექსუალური

**მადრიდის „ატლეტიკოს" თავდამსხმელის დიეგო ფორლანის სატრფო ზაირა ნარა აღიარეს ყველაზე სექსუალურად ესპანეთში. ეს ტიტული მას მიანიჭა ჟურნალმა, ამ ლამაზმანის ეს ფოტოსურათი რომ გამოაქვეყნა.**

თავად ფეხბურთელი და მისი ახლობლები მშვიდად შეხვდნენ ნარას ამ ფოტოსესიას, რომელიც მისთვის პირველი არ ყოფილა. არგენტინის ერთ-ერთმა ტელეარხმა კი შიშველი ზაირას ფოტოსურათები პირდაპირ ეთერში გაუშვა. ამან კი უკვე დიეგოს ბევრი პრობლემა შეუქმნა. თუმცა, რადგან ისინი შორშორს ცხოვრობენ, ფეხბურთელი სატრფოს ვერ აკონტროლებს.



◉ თბილისის ძველ უბანში

# მხატვრის ახალი სიცოცხლე

## მასპინძელია „არტ-გალერეა მეგზური"

**ავსტრიელი ტურისტი მიშელ შლინცერი სწორედ ახლა, შემოდგომის მსუყე და რომანტიკული ფერების დღესასწაულობისას ეწვია უძველესი კულტურის კავალერ თბილისქალაქს. მე, როგორც ძველ ნაცნობს, მობილურით წინასწარ დამიკავშირდა და მთხოვა, დედაქალაქის უძველეს, ყველაზე უფრო ტრადიციულ უბანში შემერჩია სასტუმრო, სადაც ის ტურისტულ ჯგუფთან ერთად რამდენიმე დღეს დაჰყოფდა. მე, რა თქმა უნდა, საწადელი ავუსრულე და ამ ორი დღის წინათ მიშელი და მისი მეგობრები ალექსანდრე დიუმას ქუჩის დასაწყისში, ქართულ რიკულებაივნიან, მყუდრო და კოპწია სასტუმრო „ძველ უბანს" მივაყენე. მასპინძლები გამოგვეგებნენ, უცხოელი სტუმრები ღირსეულად მიილეს და, როგორც ეკადრებოდათ ისე, რიგიან-პირიანად დააბინავეს.**

მიშელმა თავი გამოყო თუ არა შენობიდან, მაშინვე თვალი ქუჩის გადაღმა, დიუმას 4 ნომერში ახლად გახსნილ საგამოფენო გალერეა „მეგზური"-სკენ გაექცა. ორ წუთში უცნობი ფერმწერის მშვენიერი ნახატებით მოჭედილ დარბაზში ამოვყავით თავი. სტუმარი შემოქმედებით ტკბობას მიეცა (თვითონაც ხატავსძ, მე კი მასპინძლის როლში მოვლენილი, საქართველოში ბევრისთვის კარგად ცნობილი სახის – **გრიგოლ შონიას** უცაბედმა ხილვამ განმაცვიფრა.



**– ბატონო გრიგოლ,** – ვეუბნები სალამ-ქალამისა და ჩახუტებების შემდეგ, **– თქვენ რა, კულტურის სფეროში „გადმობარგდით" სამოღვაწეოდ?**

– რატომაც არა, – ამბობს ღიმილით, – ამაში კარგის გარდა ცუდს ვერაფერს ვხედავ. თბილისის ამ უძველეს უბანში მდებარე არტ-გალერეა, ფაქტობრივად გამოკეტილი იყო, მე კი, პენსიონერი კაცი – უსაქმოდ დარჩენილი. ფირმის ბიჭებმა შემომთავაზეს, ამ საქმეს თუ სათავეში ჩაუდგები, ჩვენ შენობის შეკეთება-რეაბილიტაციის ხარჯებს გავიღებთ და „ურემიც" დაიძვრებაო. ასეც მოხდა, გალერეა „ახალ კოსტიუმში" გამოეწყო, გუნდი პროფესიონალებით დაკომპლექტდა (ჩემს გვერდით არიან ცნობილი მხატვარი შოთა შანიძე, რომელსაც არაერთი გამოფენა აქვს მოწყობილი ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში, ხელოვნების ექსპერტი თინათინ ბიჭიკაშვილი, პიარმენეჯერი სოფო მაჭავარიანი, სხვა სპეციალისტებიძ და წარმატებას წინ რაღა დაუდგება?

**– მაინც, კონკრეტულად რას საქმიანობთ?**

– ჩვენი საქმიანობის მთავარი სფეროებია: თანამედროვე და ანტიკვარული, ქართული და საზღვარგარეთის ქვეყნების სახვითი, დეკორატიული და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების გამოფენა-აუქციონი; ხელოვნების ცალკეული ნიმუშების შესწავლა-შეფასება და რეალიზაცია, ცნობილი მხატვრების ასლების შესრულება და სხვა. არტ-გალერეასთან ფუნქციონირებს მხატვრების, კოლექციონერთა და ხელოვნების მოყვარულთა კლუბი „მეგზური".

**– გალერეა სავსეა დამთვალიერებლებით, ჩანს მხატვრის ნამუშევრებით ბევრი ჩვენი თანაქალაქელი დაინტერესდა.**

– ნამდვილად ასეა, ინტერესი დიდია ალბათ იმიტომაც, რომ აქ წარმოდგენილია ფრიად ორიგინალური ხელწერის მქონე მხატვრის **ედიშერ ბარამიძის** საზოგადოებისათვის ადრე უცნობი ნამუშევრები – ზეთითა და პასტელით შესრულებული სურათები, ინსტალაციები, კოლაჟები. ხელოვანს სიცოცხლეშიც ჰქონდა პერსონალური გამოფენები (იგი ადრე, 52 წლის ასაკში წავიდა ამ ქვეყნიდანძ, მაგრამ მისი სურათების უმრავლესობა დაცულია როგორც საქართველოს, ისე საზღვარგარეთის ქვეყნების (აშშ, საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, დანია, ჰოლანდია და სხვ.ძ კერძო კოლექციებში. ერთ-ერთ ასეთ კოლექციას წლების მანძილზე სათუთად იცავდა და უფრთხილდებოდა თბილისის „როტარი კლუბი აკადემიის" პრეზიდენტი, პროფესორი თამარ ცინცაძე. სწორედ ქალბატონ თამარის სურვილითა და ინიციატივით განთავსდა ჩვენს გალერეაში ედიშერ ბარამიძის დღემდე უცნობი ნახატები. თვით მხატვრის პორტრეტი კი, რომელიც ამ კოლექციას ამშვენებს, მისი დედის, საქართველოს დამსახურებული მხატვრის ლია სვანიძის მიერ არის შესრულებული.



მხატვარი ედიშერ ბარამიძე

– ხელოვანთა ტრადიციულ ოჯახში აღზრდილი ედიშერ ბარამიძე,– ამბობს გალერეის ექსპერტი თინათინ ბიჭიკაშვილი, – იყო მრავალმხრივი ინტერესების შემოქმედი: ხატავდა, წერდა ლექსებს, ქმნიდა მუსიკას, ეწაფებოდა ფილოსოფიას. ამ მრავალმხრივობამ და ნატიფმა ფანტაზიამ შექმნა მხატვრის ნამუშევართა უმდიდრესი გალერეა. მის ნახატებში შეხვდებით რეალისტურ და რომანტიკულ ნახატებს, პორტრეტებს, ნატურმორტებს, კოსმიურ სხეულებს, მეომრებს, სამურაებს, მსახიობებს, აბსტრაქციას და რეალობას, ყვავილს და ხმალს, პეპელას და ლომს, თეატრალიზებულ მისტერიებსაც კი.

ედიშერ ბარამიძის თითოეული ნახატი, – ასკვნის ქალბატონი თინათინი, – თავისი ორიგინალობით და შესრულების მანერით დროთა განმავლობაში სულ უფრო ღირებული და ფასდაუდებელი გახდება ტრადიციებისა და სიძველის მოყვარული ყოველი მოქალაქისა და კოლექციონერებისათვის.

ვერ გეტყვით, მიშელმა ყური მოჰკრა თუ არა ჩვენს საუბარს (ქართული ნამდვილად არ იცისძ, მაგრამ ამ შეფასებას რომ ეთანხმებოდა, იმით გამოხატა, რომ მისთვის სასურველი ნახატი შეარჩია და საგულდაგულოდ შეაფუთვინა. ძალიან მომეწონა, ნაღდი პროფესიონალის ნამუშევარია, თქვა მან, თანაც იაფი. წავიღებ საქართველოს სამახსოვროდ, ბინასაც დავიმშვენებ და ჯალაბობასაც გავახარებ. შევამჩნიე, იქვე რამდენიმე თბილისელმაც შეარჩია სათავისოდ მხატვრის ნახელავი.

ბატონი გრიგოლ შონია გაბადრულია, უფრო იმიტომ, რომ გამოფენა-გაყიდვა საქველმოქმედო მოტივაციისაა – გარდაცვლილი მხატვრის ოჯახისა და უნარშეზღუდული ბავშვების დახმარებას ისახავს მიზნად. კარგია, ძალიან კარგი, ვამხნევებთ მე და მიშელი მასპინძელს, მაგრამ ვართმევთ ხელს და დედაქალაქის სამეფო უბანში მორიგ ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად ვაგრძელებთ გზას.

**ოთარ ხუციშვილი**

## საჯარო სამართლის იურიდიული პირი სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა" აცხადებს აუქციონს

**საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსზე რიცხული გამოუსადეგარ მდგომარეობამდე მიყვანილი სხვადასხვა ნაკეთობების ჯართის სახით.**

**ქონების რეალიზაცია აუქციონზე განხორციელდება ერთ ლოტად.**

| ლოტის # | საქონლის დასახელება | სავარაუდო მასა ტონა | საწყისი ღირებულება ლარი | ბიჯი ლარი |
|---|---|---|---|---|
| 1 | შავი და ფერადი ლითონის შერეული ჯართი | 598,689 | 123829,00 | 1000 |
| | შერეული რადიოელექტრონული ჯართი | 28,040 | 4054,40 | |
| | საერთო ჯამი | 626,729 | 127883,40 | |

**გამყიდველი:** სსიპ სახელმწიფო სამხედრო სამეცნიერო-ტექნიკური ცენტრი „დელტა"

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია:** საქართველოს ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბეს სიდიდე არ უნდა იყოს ლოტის საწყისი გასაყიდი ღირებულების 50 პროცენტზე ნაკლები. ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკური პირებისთვის არის 90 ლარი, ხოლო იურიდიული პირებისათვის 100 ლარი გადახდილი უნდა იქნას სს „საქართველოს ბანკის" ცენტრალურ ფილიალში. ბანკის კოდი 220101502, ანგარიშის №120236700.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს სსიპ სსსტც „დელტა"-ს მოთხოვნებს, პირი იძენს მონაწილის სტატუსს.

მყიდველი ვალდებულია აუქციონზე გამარჯვებულად აღიარებიდან არაუმეტეს 30 კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საქონლის საბოლოო გასაყიდი ფასი, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და არ დაუბრუნდება ბეს შენატანი. თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება ხდება ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა 2009 წლის 15 ოქტომბრიდან 2009 წლის 23 ნოემბრის ჩათვლით, 10 საათიდან 17 საათამდე, შემდეგ მისამართზე: სსიპ სსსტც „დელტა", ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.

აუქციონი გაიმართება 2009 წლის 13 ნოემბერს 11 საათზე, მისამართზე: ქ. თბილისი, მნათობის ქ. ,73, მე-2 სართული.

აუქციონში მონაწილეობისათვის აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

– დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;
– ბეს შეტანის დამადასტურებელი და აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შეძენილი ბილეთის საბანკო ქვითრები;
– პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი;
– ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;
– იურიდიული პირი წარადგენს ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან.

**აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენა:**

აუქციონში გამარჯვებულია ის, ვინც დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მოგვმართეთ:**

**ტელ: 95-28-28.**

**მის. ქ. თბილისი, მნათობის ქ. №73, მე-2 სართული.**

**მეუღლე თინათინ ერისთავი, შვილები ეკა, გურამი, რძალი თამარ ხარებავა, შვილიშვილები თინათინი, ქეთევანი, ძმა ნოდარი, და ლია, დისწული ნიკოლოზი იუწყებიან**

**გურამ აბულაძის**

**გარდაცვალებას.**

**პანაშვიდი 13, 14 X, 17 სთ. დაკრძალვა 15 X, 15 სთ. მის. უზნაძის ქ. 74.**

**ოთარ, ვასილ და ირინა ტურაბელიძეები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ უახლოეს ნათესავს თინა ერისთავს მეუღლის**

**გურამ აბულაძის**

**გარდაცვალების გამო.**

**ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს, პროფესორ თორნიკე ქადეიშვილს დედის**

**დარეჯან იოსელიანის**

**გარდაცვალების გამო.**

რეკლამა

„საქართველოს რესპუბლიკაში"

99-62-77; 899 32-85-76.

გ. ახვლედიანის ქ. №19.

## ◉ დღის კალენდარი

14 ოქტომბერი

### მე-19 შვიდეული სულთმოფენობიდან. ოთხშაბათი.

დღესასწაული საუფლო კვართისა საუფლოისა და სვეტისა ღვთივბრწყინვალისა და მირონმდინარისა. საფარველი ყოვლადწმიდისა დედუფლისა ჩვენისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა. მცხეთობა – სვეტიცხოვლობა. მოციქულთა სწორთა: მეფისა მირიანისა და დედოფლისა ნანასი; წმიდა სიდონიასი და აბიათარ მღვდელისა, ურიაყოფილისა. წმიდა მელქისედეკ I საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა (XVIIძ, მოციქულ ანანიასი, სამეოცდაათთაგანისა (Iძ; ღირსი რომანოზ ტკბილადმგალობელისა (Vძ; მოწამე დომნინე თესალონიკელისა (IVძ; ღირსი მოწამე მიქაელისა – ზოზიელ ილუმენისა და მასთან 36 ღირსი მოწამეთა (780-790ძ.

### დაიბადნენ:

**1804 – გრიგოლ ორბელიანი,** პოეტი. გარდაიცვალა 1883 წელს.

**1842 – ვასილ ვერეშჩაგინი**, რუსი ფერმწერი, გარდაიცვალა 1904 წელს.

**1881 – მიხეილ ზანდუკელი,** ლიტერატურათმცოდნე, გარდაიცვალა 1968 წელს.

**1890 – დუაიტ დევიდ ეიზენჰაუერი,** აშშ-ს 34-ე პრეზიდენტი, გარდაიცვალა 1969 წელს.

**1891 – გრიგოლ რობაქიძე,** მწერალი, გარდაიცვალა 1956 წელს.

**1895 – სიმონ ყაუხჩიშვილი,** ფილოლოგი, აკადემიკოსი, გარდაიცვალა 1981 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1960 – აბრამ იოფე,** საბჭოთა ფიზიკოსი, აკადემიკოსი, დაიბადა 1880 წელს.

**1985 – ემილ გილელსი,** მევიოლინე, დაიბადა 1916 წელს.

### მოვლენები:

**1066 წელი** – გაიმართა ჰასტინგის ბრძოლა ნორმანდიის ჰერცოგ უილიამსა და ინგლისის მეფე ჰაროლდს შორის. ნორმანდიელების გამარჯვების შედეგად ინგლისის მეფედ ეკურთხა უილიამი.

1920 წელი **– საბჭოთა კავშირმა ფინეთთან სამშ**ვიდობო ხელშეკრულება გააფორმა.

**1964 წელი** – ამერიკელ შავკანიანების ლიდერს მარტინ ლუთერ კინგს მიანიჭეს ნობელის პრემია.

**1981 წელი** – ხოსნი მუბარაქი ეგვიპტის პრეზიდენტი გახდა.

**2000 წელი** – წარმატებით გაუშვეს ამერიკული კოსმოსური ხომალდი „დისქავერი“ შვიდი ასტრონავტით ბორტზე.

**2002 წელი** – საქართველოს სახელმწიფოსა და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის გაფორმდა ხელშეკრულება.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**სტანდარტიზაციის საერთაშორისო დღე;**

**იემენის დემოკრატიული რესპუბლიკა** – ეროვნული დღე.

**მედიანიუსი**

## ◉ დღესასწაული

# სვეტიცხოვლის მადლი შეგვეწიოს



**დღეს, 14 ოქტომბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს საუფლოისა კვართისა და ღვთაებრ ბრწყინვალე მირონმდინარე სვეტისა.**

სვეტიცხოვლობასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ სადღესასწაულო წირვა-ლოცვას აღავლენენ მღვდელ-მსახურნი სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში.

მცხეთობის ტრადიციულ დღესასწაულთან დაკავშირებით მრავალი კულტურული ღონისძიებაც ჩატარდება.

სრულიად საქართველოს პატრიარქი ილია II ბრძანებს: „მჯერა საქართველო გაუძლებს ყოველგვარ გაჭირვებას, მტრის ზეწოლას, საქართველო გაუძლებს თვით ანტიქრისტეს შემოტევას, რადგან ჩვენი გული, გონება და სული ღვთის რწმენით იქნება აღვსილი და იგი იქნება განმსაზღვრელი ჩვენი ყოფისა, აზროვნებისა და მოქმედებისა“... და იქვე დასძენს: „...მთელ ჩვენ ერს, სრულიად საქართველოს სვეტიცხოვლობის მადლი შეეწიოს!“



| | | |
|---|---|---|
| **ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი** | | |
| 1 აშშ | – 1.6747 ლარი | |
| 1 ევრო | – 2.4504 ლარი | |
| 1 გირ. სტ. | – 2.6551 ლარი | |
| 100 რუბლი | – 5.5456 ლარი | |
| 1000 სომ. დრამა | – 4.3400 ლარი | |
| 1 აზ. მან. | – 2.0843 ლარი | |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.0916 ლარი | |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1202 ლარი | |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4529 ლარი | |



**ამინდი დღეს**

| | |
|---|---|
| თბილისი. | +14 – +23 |
| ქუთაისი. | +18 – +26 |
| ბათუმი. | +20 – +25 |
| ზუგდიდი. | +20 – +26 |
| თელავი. | +12 – +23 |

**რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში“**

გ. ახვლედიანის ქ. №19.

99-62-77; 899 32-85-76.

## ◉ სულიერება

# მოწამეთობა

**15 ოქტომბერს საქართველოს სამოციქულო ეკლესია არგვეთის მთავართა, წმიდათა დიდმოწამეთა დავითის და კონსტანტინეს ხსენების დღეს დღესასწაულობს.**

...საქართველოზე გამოლაშქრებულ მურვან-ყრუს არგვეთელი დავით და კონსტანტინე მხეიძეები შეებრძოლნენ. ისინი იყვნენ „მეცნიერ ძუელისა და ახალისა სჯულისა, ჭეშმარიტი მორწმუნენი და გამოცდილნი და ახოვანნი წყობათა შინა და ბრძოლათა“...

უთანასწორო ბრძოლაში ძმები ტყვედ ჩაიგდეს და მურვანყრუს წარუდგინეს. მან მხეიძეებს სჯულის შეცვლა შესთავაზა. მაგრამ დავითმა და კონსტანტინემ უშიშრად აღიარეს წმინდა სამება. სიკვდილის წინ მათ ილოცეს...

დიდმოწამეთა გვამები წყალწითელას ნაპირზე მდებარე ეკლესიაში დაკრძალეს.

მოწამეთა მონასტერი, მეცნიერთა აზრით, მეფე ბაგრატ IV-ის მიერ უნდა იყოს აგებული; არსებობს სხვა ვერსიაც, რომელიც ტაძრის აგებას ბაგრატ დიდს მიაწერს.

**გიული ლიპარტია**

## ◉ ფოტოფაქტი



**გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 16 ოქტომბერს**

## ◉ ანეკდოტები

– მთელი წელიწადია, ცოლი არ მელაპარაკება ცხელ გულზე წამოცდენილი ერთადერთი სიტყვისთვის!

– თუ ძმა ხარ, მითხარი, რა სიტყვაა.

* * *

მე მსოფლიოში ყველაზე კეთილი კაცი ვარ. თუ ვინმე ჩემზე კეთილი აღმოჩნდება, მოვკლავ და ისევ ყველაზე კეთილი ვიქნები.

* * *

– დღეს რძეში წყალი ჩაასხი? – ეკითხება მერძევე თავის ახალ თანამშრომელს.

– კი, ბატონო!

– მერე რატომ? არ იცი, რომ ეს უზნეობაა?

– კი, მაგრამ თქვენ ხომ მითხარით, რომ...

– მე გითხარი, რომ ბიდონში ჯერ წყალი უნდა ჩაასხა, მერე კი რძე დაუმატო. ამ შემთხვევაში სუფთა სინდისით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რძეში წყალი არ შეგვირევია...

* * *

– ფოსტაში ვერ წამიყვანდი? – ეკითხება სიდედრი სიძეს.

– სიამოვნებით წაგიყვან, დედიკო! მერე იქიდან საით უნდა გაგაგზავნოთ?

* * *

განცხადება: დაიკარგა ქვირფასი ქალი. მპოვნელი დასაჩუქრდება. განსაკუთრებული ნიშნები: ულრენს და კბენს მხოლოდ სიდედრს.



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.